გაზეთი ზევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№18 (1659) 26 — 30 მაისი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

## „დღეს რომ მომღერალი ვარ, პატრიარქის დიდი წვლილია“

საქართველოს ხმა ევროპაში – გაიცანით საოპერო მომღერალი, ტენორი დავით სუმბაძე

# რა ქონებას ფლობს სერგეი ლავროვის ქალიშვილი ეკატერინა ლავროვა-ვინოკუროვა

„ტაში, ქალებო, ლავროვის შვილის მაზლი ცეკვავს!“

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

## 26 მაისის ტკბილ-მწარე ქრონიკა ლავროვის შვილის მაზლის ქორწილის აკომპანიმენტით



საქართველოს დამოუკიდებლობიდან – ეროვნული გმირის დაბადების დღემდე

## შეიცვლება თუ არა თურქეთის პოლიტიკა საქართველოსთან, ერდოღანის დამარცხების შემთხვევაში

ინტერვიუ თურქოლოგ სანდრო ბაკურაძესთან

## ქვემო ქართლის პოლიციამ ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული ნ.ა. და 2005 წელს დაბადებული ა.ა. ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.ა.-მ, ა.ა.-მ და მათმა თანმხლებმა პირმა, თბილისიდან მარნეულის მიმართულებით ტაქსით გადაადგილებისას, აღნიშნული ავტომობილის დაუფლებისა და ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, ტაქსის მძღოლის – 1969 წელს დაბადებული შ.ლ.-ს მოკვლა განიზრახეს. ბრალდებულებმა მას ავტომანქანა გააჩერებინეს, რის შემდეგაც მოკლეს, კვალის დაფარვის მიზნით კი მოკლული მამაკაცის ცხედარი ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში, ერთ-ერთი მდინარის ნაპირზე დამარხეს. ბრალდებულები უკანონოდ დაუფლებული ავტომობილით მარნეულის მუნიციპალიტეტში, თავიანთ სახლებში წავიდნენ და იქვე მდებარე საკუთარ ავტოსახელოსნოში, კვალის დაფარვის მიზნით, აღნიშნული ავტომობილის ნაწილებად დაშლა დაიწყეს.

სამართალდამცველებმა ნ.ა.-სა და ა.ა. -ს კვალს მიაკვლიეს, რის შემდეგაც ისინი ბრალდებულის სახით დააკავეს.

ამავე დანაშაულში მონაწილე კიდევ ერთი პირის ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით, ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტრო გაცნობებთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების წინამოსამზადებელ პერიოდსა და 26 მაისს, დედაქალაქში ავტომანქანების მოძრაობა შეიზღუდება.

23 მაისს, 00:00 საათიდან, მოძრაობა სრულად შეიზღუდება თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის გამზირსა და პირველი რესპუბლიკის მოედანზე.

ასევე, მოძრაობა შეიზღუდება რუსთაველის გამზირის დამაკავშირებელ ყველა ქუჩაზე. ავტომანქანები გადაადგილებას შეძლებენ ბარათაშვილისა და თაბუკაშვილის ქუჩების გავლით, მერაბ კოსტავასა და სანაპიროს ქუჩების მიმართულებით.

მთაწმინდიდან მოძრაობა შესაძლებელი იქნება ასათიანის ქუჩის გავლით, გორგასლის მოედნის მიმართულებით. ასევე, კოტე აფხაზის ქუჩაზე (ყოფილი ლესელიძის ქუჩა) მოძრავ ნაკადს გადაადგილების გაგრძელება შეეძლება ვერცხლის ქუჩის გავლით, ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით.

ავტომანქანების მოძრაობა აიკრძალება მარჯვენა სანაპიროდან ბარათაშვილის ქუჩაზე ამსვლელ პანდუსზე. ავტოსატრანსპორტო საშუალებები მოძრაობას შეძლებენ ვახტანგ გორგასლის ქუჩის მიმართულებით.

ბარათაშვილის დაღმართიდან მოძრავი ტრანსპორტი კი, ბარათაშვილის ხიდზე გადასვლის შემდგომ, იმოძრავებს მხოლოდ იუსტიციის სახლის მიმდებარედ ჩამსვლელ პანდუსზე, მარჯვენა სანაპიროს მიმართულებით.

ავტომანქანები, რომლებიც გადაადგილდებიან მთაწმინდის მიმართულებით, იმოძრავებენ პეტრე მელიქიშვილის ქუჩაზე, სიმონ ჯანაშიას, ივანე თარხნიშვილისა და თამარ ჭოველიძის ქუჩების გავლით, საიდანაც მოძრაობას გააგრძელებენ ჭონქაძის ქუჩის მიმართულებით.

ასევე, ილია ჭავჭავაძის გამზირიდან მომავალ ნაკადს მოძრაობის გაგრძელება შეეძლება, პეტრე მელიქიშვილისა და მერაბ კოსტავას ქუჩების გავლით, სანაპიროს მიმართულებით.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, მოძრაობის უსაფრთხოებისა და შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაკადს დაარეგულირებენ. საჭიროების შემთხვევაში, პატრულ-ინსპექტორები მძღოლებს ალტერნატიული მარშრუტების შესახებაც მიაწვდიან ინფორმაციას.

27 მაისიდან, ღონისძიებისთვის განკუთვნილი დეკორაციების დემონტაჟის შემდეგ, შეზღუდვები სრულად მოიხსნება და ავტოსატრანსპორტო მოძრაობა ჩვეულ რეჟიმში აღდგება.

## კახეთის პოლიციამ, მკვლელობის ბრალდებით, ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, გ.ყ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, წარსულში მომხდარი კონფლიქტის ნიადაგზე, თანასოფლელი – 1991 წელს დაბადებულ თ.მ. სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა.

პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.ყ. ბრალდებულის სახით ცხელ კვალზე დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადამიანებით ვაჭრობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრალდებით, 1992 წელს დაბადებული, უცხო ქვეყნის მოქალაქე, ლ.ლ. დააკავეს.

დანაშაული 12-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ბათუმის ერთ-ერთ სილამაზის სალონში დასაქმებას დაჰპირდა ტაილანდის რესპუბლიკის მოქალაქეებს – 1987 წელს დაბადებულ ი.ჩ.-ს, 1985 წელს დაბადებულ ტ.ჯ.-სა და 1984 წელს დაბადებულ პ.ს.-ს, რომლებიც აღნიშნული მიზნით საქართველოში ჩამოვიდნენ. ლ.ლ.-მ ისინი მოტყუებით წაიყვანა ქალაქ ზესტაფონში, თავის დროებით სარგებლობაში არსებულ სახლში, ჩამოართვა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, კლიენტებისთვის სექსუალური მომსახურების გაწევას აიძულებდა.

პოლიციამ, ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ლ.ლ. ბრალდებულის სახით დააკავა.

ნივთმტკიცებად ამოღებულია უკანონოდ ჩამორთმეული პასპორტები, იძულებითი სექსუალური მომსახურების შედეგად მიღებული თანხა, ასევე, მობილური ტელეფონები და კომპიუტერული ტექნიკა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ორი ან მეტი პირის მიმართ ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგი).

## პოლიციამ ქუთაისში მომხდარი ძარცვის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული გ.მ. ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი მარკეტის მოლარე ოპერატორს, ძალის გამოყენებით გასტაცა სალაროს უჯრა, მასში არსებული თანხით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირი, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა. პოლიციამ ძარცვის შედეგად დაუფლებული თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ძალადობის გამოყენებით ჩადენილ ძარცვას გულისხმობს.

# 26 მაისის ტკბილ-მწარე ქრონიკა ლავროვის შვილის მაზლის ქორწილის აკომპანიმენტით

## საქართველოს დამოუკიდებლობიდან – ეროვნული გმირის დაბადების დღემდე



ნინო დოლიძე

**26 მაისი კარს მოგვადგა, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე დღეში, ქვეყანა დამოუკიდებლობის 105 წლის იუბილეს იზეიმებს. ისე, სხვანაირად არ გაიგოთ და, დამოუკიდებლობის 105 წლისთავის აღნიშვნა, ცოტა არ იყოს, გადამეტებულია. იკითხავთ, რატომ? – რატომ და, კი, ბატონო, 1918 წლის 26 მაისს, ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ პირველმა რესპუბლიკამ სულ სამ წელს იარსება ანუ 1921 წლის 25 თებერვალს, ჩვენს ქვეყანას თავს რუსეთის მე-11 არმია დაესხა და... საქართველო გააწითლა. შესაბამისად, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის დამოუკიდებლობაც 70 წლით დაკონსერვდა. 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა. შესაბამისად, ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი კი არა, არამედ, 9 აპრილია ანუ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა 105-ს კი არა, 32 წელს ითვლის, თუმცა მოვლენების განვითარებას, მოდით, ქრონოლოგიურად მივყვეთ.**

### დამოუკიდებლობის ისტორია

1917 წელს, რუსეთის იმპერიაში დიდი არეულობა იწყება, რაც ბურჟუაზიის გამარჯვებითა და მეფის დამხობით მთავრდება. პარალელურად, იშლება რუსული იმპერია, რაც იმის საფუძველი ხდება, რომ ჩრდილოეთის მიერ ანექსირებულმა პატარა ქვეყნებმა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყონ. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, ქართული ვიკიპედიის თანახმად, 1917 წლის 19-23 ნოემბერს, ეროვნული ყრილობა ტარდება, რომელზეც საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობით ორგანოს – საქართველოს ეროვნულ საბჭოს ირჩევენ, რომელიც ქვეყნის მართვას იწყებს. 1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭო, რომელის უმრავლესობასაც სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) წარმოადგენენ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას აცხადებს. სხვათა შორის, ეროვნულ საბჭოში, ასევე, შედიან ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები, ე.წ. აღიონის ჯგუფი, რადიკალ-დემოკრატები და უპარტიოები. საბჭოს თავდაპირველად აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობს, 1918 წლის ოქტომბრიდან კი – კარლო ჩხეიძე. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ეროვნული საბჭო მოამზადებს და, 1919 წლის თებერვალში, საყოველთაო და პირდაპირ არჩევნებს ჩაატარებს, რის შემდეგაც საკანონმდებლო უფლებამოსილებას საქართველოს დამფუძნებელი კრება გადაიბარებს.

რაც შეეხება 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რესპუბლიკის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ხდება. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამია:

**„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველი მხრით მტრისგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო, საქართველო მტრისაგან დაეცვა. რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია. „დარჩნენ რა, თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკაკასიამ, თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით, ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:**

**1). ამიერიდან, საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.**

**2). დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა.**

**3). საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.**

**4). საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს, საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი – მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.**

**5). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.**

**6). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.**

**7). დამფუძნებელი კრების შეკრებამდე, მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას ევროპის წამყვანი ქვეყნებიც სცნობენ, თუმცა ეს საერთაშორისო აღიარება წითელ იმპერიას ხელს არ შეუშლის, რომ საქართველოს ანექსია მოახდინოს.

მოკლედ, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, არსებობას წყვეტს და „დიდი რუსეთის ხალხის“ ანუ საბჭოთა კავშირის ნაწილი ხდება.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, საქართველოში დისიდენტური მოძრაობა იწყება, რომლის უმთავრესი მიზანიც საქართველოს სსრკ-დან გასვლა და დამოუკიდებლობის მოპოვებაა.

ქართულ „ვიკიპედიაში“ ვკითხულობთ:

**„1974 წელს, საქართველოში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფი – ჰელსინკის კავშირი. ქართული დისიდენტური მოძრაობა აქცენტს მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვაზე კი არ აკეთებდა, არამედ, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაციასაც ცდილობდა. საქართველოში დისიდენტური ბრძოლის ძირითად სახედ არალეგალური ანტისაბჭოთა ლიტერატურის გავრცელება იქცა. ამ საქმის სათავეში იდგნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებიც 1970-იან წლებში გამოსცემდნენ ჟურნალებს – „საქართველოს მოამბე“ და „ოქროს საწმისი“.**

**1977 წელს, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დისიდენტური საქმიანობის გამო დააპატიმრეს. ქართველი დისიდენტები, აგრეთვე, ცდილობდნენ, დასავლეთის სახელმწიფოებისთვის მიეწვდინათ ხმა საბჭოთა რეჟიმის შესახებ. ასეთი საქმიანობის გამო დააპატიმრეს ვიქტორ რცხილაძე, ავთანდილ იმნაძე და ვალენტინა ფაილოძე...**

**1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში პირველი მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები ტარდება, რომლის შედეგებმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს საარჩევნო ბლოკის – მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო ორგანიზაციებმა.**

**1990 წლის 14 ნოემბერს, ჩატარდა საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელმაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერი ზვიად გამსახურდია. ამავე სესიაზე გაუქმდა სახელწოდება „საქართველოს სსრ“ და ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“, დამტკიცდა რესპუბლიკის ახალი ეროვნული ჰიმნი, სახელმწიფო დროშა და გერბი.**

**საქართველოში გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი.**

**1991 წლის 31 მარტს, საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი ერთადერთი შეკითხვით – „ხართ თუ არა თანახმა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“**

**საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98%-მა სარეფერენდუმო შეკითხვას გასცა დადებითი პასუხი.**

**... 1991 წლის 9 აპრილს, პატივი მიაგო რა, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა ნათელ ხსოვნას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“, ის ერთადერთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მოხდა საქართველოს საერთაშორისო ცნობა“.**

### სისხლიანი დამოუკიდებლობის დღე

იყო დრო, თან არცთუ შორეულ წარსულში, როცა 26 მაისი საქართველოში პომპეზურად აღინიშნებოდა. ყოველ შემთხვევაში, წინა ხელისუფლება ყოველი წლის ამ დღეს სამხედრო აღლუმს ატარებდა და ამით იმის დემონსტრირებას ცდილობდა, რომ საქართველო, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერი სახელმწიფო იყო...

ბოლო ორ ათეულ წელს თვალს თუ გადავავლებთ, ერთერთი ყველაზე დრამატული და, შეიძლება ითქვას, სისხლიანი დამოუკიდებლობის დღე 2011 წელს გვქონდა. ეს კი არადა, ზოგი ამბობს, რომ 12 წლის წინ, 26 მაისს, ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობას საფრთხეც ემუქრებოდა, თუმცა ისინი, ვინც 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე იდგნენ, ამბობენ, რომ ზემოხსენებული შეფასება გადაჭარბებულია და ყველაფერი, რასაც მაშინდელი ხელისუფლება, ესე იგი, ნაციონალური მოძრაობა ამბობდა, ჩვეულებრივი „კუდიანებზე ნადირობა“ იყო და მეტი არაფერი.

2011 წლის სისხლიან 26 მაისამდე კი, როგორც ქართული „ვიკიპედია“ გვამცნობს, მოვლენები ასე ვითარდებოდა:

**„არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ნაწილი 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს გაემიჯნა და ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნა წამოაყენა.**

**არჩევნების შემდეგ, რომელშიც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს, აქტიური კონსულტაციები გაიმართა ოპოზიური პარტიების ნაწილს შორის. მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის მაშინდელმა ლიდერმა, ზურაბ ნოღაიდელმა და მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის ლიდერმა, ირაკლი ოქრუაშვილმა ოპოზიციური ძალებს გაერთიანებისკენ მოუწოდეს“.**

2010 წლის სექტემბერში, ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების ნაწილის მიერ, საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც ე.წ. წარმომადგენლობითი სახალხო კრების ფორმირება დაიწყო. „სახალხო კრება“, როგორც მისი შემქმნელები ამტკიცებდნენ, „საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველი უზენაესი ორგანო“ იყო, რომელსაც არსებული ხელისუფლება ვადამდელი დემოკრატიული და სამართლიანი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებით უნდა შეეცვალა. იმთავითვე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სახალხო კრების ლობისტი, დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს ლიდერი ნინო ბურჯანაძე იყო.

2010 წლის ნოემბერში, სახალხო კრებას ბლოკი „ეროვნული საბჭო“, ეროვნული ფორუმი, ქალთა პარტია (იმხანად, ამ პარტიას „მეოცნებე“ გუგული მაღრაძე ლიდერობდა) უერთდებიან.

პარალელურად, პოლიტიკურ ბაზარზე კიდევ ერთი ოპოზიციური პარტია ჩნდება ანუ თავდაცვის ექსმინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკურ გაერთიანება ქართული პარტიას ქმნის.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის მაისის მოვლენების დროს, ოქრუაშვილი ე.წ. ზილების რევოლუციით იმუქრებოდა ანუ

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# 26 მაისის ტკბილ-მწარე ქრონიკა ლავროვის შვილის მაზლის ქორწილის აკომპანიმენტით

*მე-3 გვერდიდან*

პირობას დებდა, რომ 26 მაისს, თბილისში იქნებოდა და ბურჯანაძის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციას შეუერთდებოდა, თუმცა იმხანად, „ოქრომ“ მხოლოდ ბურჯანაძე კი არა, არამედ, საკუთარი ფანებიც „გადააგდო“.

თავდაპირველად, სახალხო კრებამ მიტინგები ტელევიზიის შენობასთან დაიწყო და განაცხადა, რომ 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე გადაინაცვლებდა და სააკაშვილს დამოუკიდებლობის აღლუმის ჩატარების საშულებას არ მისცემდა. პოლიტიკურ წრეებში ყველამ იცოდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მომიტინგეები რუსთაველს მიაშურებდნენ, ხელისუფლება მიტინგს დაარბევდა. ამიტომაც, როგორც ამბობენ, ბურჯანაძეს საკუთარი თანამოაზრეებიც სთხოვდნენ, რომ გადაწყვეტილება შეეცვალა, თუმცა „გამოცხადებული დარბევის ქრონიკის“ სცენარში ცვლილებები არ შესულა.

იმდროინდელ ინტერნეტმედიაში 26 მაისის ქრონიკა ასეა აღწერილი:

25 მაისი: „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლადო ვარძელაშვილის მოადგილემ, გიორგი ავალიანმა სახლებში ჩამოუარა სახალხო კრების რამდენიმე აქტივისტს და დაშინების გზით, კრების დამგმობი განცხადებების გაკეთება მოსთხოვა, – ამის შესახებ სახალხო კრების ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში განაცხადა.

**„დღეს ძალიან ბევრი ახალგაზრდა იმედის თვალით უყურებს „სახალხო კრებას“ და ძალიან ბევრი ახალგაზრდა აქციებზე ჩვენს გვერდით დგას. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ავალიანმა სახლებში ჩამოუარა ჩვენს ახალგაზრდებს და დაემუქრა, თუ კრების დამგმობ განცხადებებს არ გააკეთებდნენ, ნარკოტიკებს უპოვიდნენ და შვიდწლიან მუხლს მიუსჯიდნენ. თუმცა, დღეს არცერთ ახალგაზრდას ჩვენი საწინააღმდეგო განცხადება არ გაუკეთებია და მე ვამაყობ ამ ახალგაზრდებით“,** – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

25 მაისი, მედია-კავშირ „ობიექტივის“ მიმართვა სახელისუფლებო მედიისადმი:

**„2011 წლის 21 მაისს დაწყებული საპროტესტო აქციის მსვლელობას, მეხუთე დღეა, „მონდომებით“ აშუქებენ სახელისუფლებო ტელე-რადიო და ინტერნეტ-არხები. თითქმის ყველა სიუჟეტში თუ გადაცემაში, რომელიც საპროტესტო აქციის თემას ეძღვნება, შეგნებულად და მიზანმიმართულად დამახინჯებულია რეალობა.**

**მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ აქციაში, წარმოჩენილნი არიან, როგორც შეიარაღებული ბანდიტები, ლოთები და კრიმინალები. ცოტა ხნის წინ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი „მამხილებელი“ ვიდეომასალა გამოაქვეყნა, რომელიც მარტივად ხასიათდება, როგორც ძალზედ დაბალი დონის, პროვოკაციული მასალა. თითქოსდა, „ფაქტი“, რომელიც მიზნად ისახავს აქციის მონაწილეების დისკრედიტაციას. ამ ტიპის „მამხილებელი“ ვიდეომასალების გავრცელებაზე საბჭოთა პროპაგანდისტული ტელევიზიაც კი უარს ამბობდა.**

**მივმართავთ სახელისუფლებო მედიის პროდიუსერებს, რედაქტორებსა და ჟურნალისტებს: ჩვენთვის მიუღებელია ზეწოლა ჟურნალისტებზე, როგორც ხელისუფლებისგან, ისე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისგან, მაგრამ იძულებული ვართ, შეგახსენოთ, რომ ჟურნალისტიკა ემსახურება საზოგადოებას და მხოლოდ საზოგადოებას.**

**შავი პიარ-კამპანია, რომელსაც ამ საათებში, სახელისუფლებო მედია ახორციელებს საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული კამპანიაა, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა, საზოგადოების მოტყუება და დაცინვაა.**

**მოგიწოდებთ, შეწყვიტოთ ეს კამპანია და გააშუქოთ მოვლენები რეალობის ადეკვატურად. მოგიწოდებთ, გამოხატოთ ხალხის, საზოგადოების ინტერესი და უარი თქვათ მაყურებლისა და მსმენელის მიმართ ციინიკურ დამოკიდებულებაზე.**

**მოვუწოდებთ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის დირექციას, განაახლეთ პირდაპირი ეთერი საპროტესტო აქციდან, რადგან მხოლოდ პირდაპირი ეთერია გარანტი მშვიდობიანი მომიტინგეების დასაცავად.**

**მოვუწოდებთ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხს, გახსენით პირდაპირი ეთერი და აჩვენეთ საქართველოს მოსახლეობას, როგორ ვითარდება პროცესები პარლამენტის შენობის წინ, რაც ვერავის მისცემს რეალობის ინტერპრეტაციის საშუალებას.**

**მედია-კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი, ირმა ინაშვილი“.**

26 მაისი, 00.06 საათი: „ქალაქ თბილისის საკრებულოსთან, სპეციალური დანიშნულების რაზმი განლაგდა.

ჯერჯერობით, უცნობია, თუ რა ქმედებისთვის ემზადებიან სამართალდამცავები.

თუმცა არაა გამორიცხული, დედაქალაქის მერიის მიერ გამოყოფილი დროის დასრულების შემდეგ, სამართალდამცავებმა აქციიის მონაწილეების წინააღმდეგ, რამე სახის ძალა გამოიყენონ.

სპეცრაზმია მობილიზებული ორბელიანის (კოლმეურნეობის) მოედანზეც“.

26 მაისი, 00.22 საათი: „ამ წუთისთვის აქციის დაშლა გრძელდება. გაუშვა სპეცრაზმმა წყლის ჭავლი და მხუთავი გაზი. ადგილიდან ვერ ხერხდება სხვა ინფორმაციის მიღება.

26 მაისი, 00.34 საათი: „ამ დროისთვის მიმდინარეობს რუსთაველის გამზირის გაწმენდა.

დაზარალებულთა შესახებ ცნობები, ჯერჯერობით, არ ვრცელდება“.

26 მაისი, 01.03 საათი: „გავრცელებული ინფორმაციით, თავისუფლების მოედანზე მასობრივი დაჭერები მიმდინარეობს.

სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები, ძირითადად, მამაკაცებს რეზინის თასმებით კოჭავენ.

გარდა ამისა, რამდენიმე ათეული ადამიანი, ხელბორკილებდადებული, მიწაზე გდია. მათი დიდი ნაწილი სისხლიანია.

ქუჩაში რამდენიმე ათეული ადამიანი უგონოდ არის დაგდებული. სპეცრაზმის თანამშრომლები მათ ხელკეტებს ურტყამდნენ და ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

ბორკილებდადებული ადამიანების ნაწილი ყვითელ ავტობუსებში ჩასვეს და შემთხვევის ადგილიდან წაიყვანეს. მობილიზებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარებაც. დაშავებულებს ამ წუთებში პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს“.

26 მაისი, 01.06 საათი: „სახალხო წარმომადგენლობითი კრების აღმასრულებელ საბჭოს წევრ ნინო ბურჯანაძის მტკიცებით, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეების დარბევისას, საპატრულო პოლიციის მანქანიდან, მისი შვილის მიმართულებით, ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროლეს.

**„არ ვიცი, ეს იყო დამიზნებით ნასროლი, თუ არა. დამიზნებით რომ ეს ესროლათ, ალბათ, მოარტყამდნენ კიდეც, თუმცა არც დამიზნებით სროლას არ გამოვრიცხავ... ეს ბრძოლა არ დასრულებულა, ბრძოლა დღეიდან, სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა...**

**როდიონოვის არმიამ 9 აპრილს ქართველ ხალხს მხოლოდ ერთი მხრიდან შეუტია და მეორე მხარეს გასაქცევი დაუტოვა, დღეს კი სააკაშვილის ხელისუფების სპეცრაზმს ასეთი რამ არ გაუკეთებია – ყველა მხრიდან ალყაში მოგვაქცია და არც ერთ მხარეს გასაქცევი არ დაგვიტოვა“,** – განაცხადა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ მისთვის სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია ამ დროისთვის უცნობია.

26 მაისი, 01.48 საათი: ვრცელდება ინფორმაცია, რომ სასტიკადაა ნაცემი თავისუფალი საქართველოს ლიდერი, კახა კუკავა.

26 მაისი, 02.00 საათი: შსს განცხადებას ავრცელებს:

**„სახალხო კრების წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საპროტესტო აქციების ჩატარება თბილისის მერიის მიერ სანქცირებული იყო 21 მაისიდან, 25 მაისის ჩათვლით. 25 მაისს, მომიტინგეებმა გადაინაცვლეს საქართველოს პარლამენტის წინ, სადაც 26 მაისს, უნდა გაიმართოს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი. ვინაიდან მომიტინგეებმა განაცხადეს, რომ ისინი 25 მაისის შემდეგ დაშლას არ აპირებდნენ, დაახლოებით, საღამოს 08.00 საათზე, თბილისის მერიამ ორგანიზატორებს აქციის ჩასატარებლად სხვა ადგილის გამოყოფა შესთავაზა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. მოგვიანებით, სანქციის ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე, მერიის წარმომადგენელმა მომიტინგეები კიდევ ერთხელ გააფრთხილა, რომ პროტესტის გაგრძელების შემთხვევაში, იგი არასანქცირებულ ხასიათს მიიღებდა და მათ მშვიდობიანი დაშლისკენ მოუწოდა. 00:10 საათზე, მას შემდეგ, რაც „სახალხო კრების“ აქციამ არასანქცირებული ხასიათი შეიძინა, პოლიციის თანამშრომლებმა პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია მომიტინგეებისაგან გაათავისუფლეს.**

**პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დაკავებულ იქნა აქციის რამდენიმე მონაწილე“.**

26 მაისი, 02.04 საათი: „ირაკლი ბათიაშვილის ოჯახის წევრების ინფორმაციით, წარმომადგენლობითი სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერის ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია და ოჯახის წევრები მასთან დაკავშირებას ვერ ახერხებენ.

გარდა ამისა, ტელეკომპანია „მაესტროს“ ინფორმაციით, გაურკვეველია ადა მარშანიას ადგილსამყოფელიც, მისი მეუღლე კი, რამდენიმე მოტეხილობით, ერთ-ერთ საავადმყოფოშია მოთავსებული“.

26 მაისი, 02.06 საათი: „ამ წუთებში გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამცავება დიმა ჯაიანი და გოგი ქავთარაძე დააკავეს“.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, კინოთეატრ „რუსთაველიდან“ გამოიყვანეს სახალხო კრების წარმომადგენლები – თემურ შაშიაშვილი და ლუკა კურტანიძე, თუმცა მათი დაკავების შესახებ ინფორმაცია დაზუსტებული არ არის.

26 მაისი, 02.10 საათი: „ინტერნეტტელევიზია „პალიტრას“ ცნობით, რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის დარბევისას, სავარაუდოდ, ერთი ადამიანი დაიღუპა. ინტერნეტტელევიზია ამის ამსახველ ვიდეო კადრებსაც ავრცელებს. აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სხვა დეტალები ამ ეტაპზე უცნობია“.

26 მაისი, 02.33 საათი: „აქციის დარბევისას, ერთი სამართალდამცავი დაიღუპა“, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა.

უტიაშვილის თქმით, აქციის მონაწილეებმა გადაინაცვლეს იმ ტერიტორიაზე, სადაც უნდა ჩატარებულიყო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი.

**„პოლიციამ და ქალაქის მერიამ არაერთხელ სთხოვა მომიტინგეებს, შეერჩიათ ნებისმიერი სხვა ადგილი. თუმცა, ისინი პოლიციის ამ კანონიერ მოთხოვნას არ დათანხმდნენ, შედეგად, პოლიცია იძულებული გახდა, ძალა გამოეყენებინა. მომიტინგეების ნაწილმა სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწია“,** – განაცხადა შოთა უტიაშვილმა.

მისი ინფორმაციით, ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი ხალხის მასაში, მიტინგის დატოვებისას, მანქანით დიდი სიჩქარით მიემართებოდა, რის შედეგადაც, გზად ერთ-ერთ პოლიციელს დაეჯახა.

სამართალდამცავი ადგილზე დაიღუპა.

„დაშავებულია 19 ადამიანი. არცერთის მდგომარეობა არ არის მძიმე. ამ წუთისთვის რუსთაველის გამზირზე მოძრაობა აღდგენილია, – განაცხადა უტიაშვილმა და დასძინა, რომ საქართველოს სახელმწიფო და შსს პატივს სცემს აზრის გამოხატვის თავისუფლებას, თუმცა ეს მხოლოდ კანონის ფარგლებში უნდა მოხდეს“.

26 მაისი, 04.23 საათი: „კოალიცია სამოქალაქო განვითარებისათვის საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებს, არ მიიღონ საზეიმო აღლუმში მონაწილეობა“.

26 მაისი, 04.29 საათი: „საია-ს განცხადებით, სახეზეა პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტება და შესაბამისად, დანაშაულის ნიშნები“.

26 მაისი, 05.07 საათი: „რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაადასტურეს ნინო ბურჯანაძის შვილი, ანზორ ბიწაძე.

ამასთან, შსს-ს ცნობით, აქციაზე დაკავებულ 90-მდე ადამიანს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა“.

26 მაისს, განცხადებას ავრცელებს „ჰუმან რაითს ვოჩი“, რომლის თანახმადაც, „თბილისში, პოლიციამ მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ, გადამეტებული ძალა გამოიყენა“.

ბართლომეს ღამის მიუხედავად, 26 მაისს, პარლამენტის შენობის წინ ანუ იქ, სადაც რამდენიმე წაათის წინ, სისხლი დაიღვარა და ადამიანები დაიღუპნენ, დამოუკიდებლობის დღისადმი აღლუმი მაინც ტარდება...

2014 წლის თებერვალში, სისხლიანი 26 მაისის საქმეზე, შს ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა ამნისტიის შედეგად, ეს ვადა ოთხ წელსა და ექვს თვემდე შემცირდა. ამასთან, 26 მაისის საქმის გამო, არაერთი ყოფილი ძალოვანი მაღალჩინოსანია პასუხისგებაში მიცემული.

**P.S. დამოუკიდებლობა გასაგებია, მაგრამ 26 მაისი იმითაც მნიშვნელოვანია, რომ 79 წლის წინ, 1939 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული გმირი, მერაბ კოსტავა დაიბადა! წესით, ამ თარიღსაც არანაკლები პომპეზურობით უნდა აღვნიშნავდეთ, მაგრამ... გმირები ხომ მხოლოდ სუფრაზე, სადღეგრძელოების თქმისას გვახსენდებიან ხოლმე, თანაც საქმე ისე მიდის, რომ ამ ქვეყანაში, მავანთ ლავროვის შვილის მაზლის ქორწილი უფრო აღელვებთ, ვიდრე – საქართველოს დამოუკიდებლობა და ეროვნული გმირები!**

ჰოდა, მართლაც, „ჩვენისთანა ბედნიერი, განა, არის სადმე ერი?!“

# შეიცვლება თუ არა თურქეთის პოლიტიკა საქართველოსთან, ერდოღანის დამარცხების შემთხვევაში

ია გრიგალაშვილი

## ინტერვიუ თურქოლოგ სანდრო ბაკურაძესთან

**თურქეთი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურისთვის ემზადება. ერთმანეთს რეჯეფ თაიფ ერდოღანი და გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი, ქემალ ქილიჩდაროღლუ დაუპირისპირდებიან. არჩევნების პირველ ტურში, მოქმედმა პრეზიდენტმა ხმათა უმრავლესობა მიიღო, თუმცა გამარჯვებისთვის საჭირო რაოდენობის – 50%-ის შეგროვება ვერ შეძლო. 28 მაისს, თურქეთის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არჩევნები გადაწყვეტს, დარჩება თუ არა 20-წლიანი მმართველობის შემდეგ, რეჯეფ თაიფ ერდოღანი ხელისუფლებაში.**

**რას უნდა ველოდოთ მეორე ტურში, რა ვითარებაა თურქეთში და შეიცვლება თუ არა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში? – „ვერსია“ თურქოლოგ სანდრო ბაკურაძეს ესაუბრა.**

**– ბატონო სანდრო, არჩევნების მოახლოებამდე როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ხალხს ერდოღანის პარტიის მიმართ და რას გვეუბნება ამომრჩეველზე ეს შედეგები?**

– მიწისძვრის, ეკონომიკური კრიზისისა და არაერთი სისტემური პრობლემის გამო, შეიძლება ითქვას, ერდოღანის ხელისუფლება და მასთან დაკავშირებული პარტიები საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური კრიზისის პირობებში იმყოფებოდნენ. ამის გამო, ერდოღანი იძულებული გახდა, სხვადასხვა ულტრამემარჯვენე პარტიებთან შეეკრა კოალიცია. მიუხედავად ოფიციალური საპრეზიდენტო სისტემისა, ის ძალიან გახდა ამ ჯგუფებზე დამოკიდებული და მათ გარეშე ნაბიჯს ვერ დგამს.

რაც შეეხება არჩევნებს, ყველა სახის კვლევა აჩვენებდა, რომ მსგავსი რამ მოსალოდნელი იყო, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სერიოზული ეჭვია გაყალბებაზე და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიკერძოებული და პრობლემური შედეგები აჩვენა, ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს. ოპოზიციის უმეტესობამ იმდენად ცუდად მართა საარჩევნო პროცესი, ისეთ შემთხვევაშიც, თუ გაყალბების ფაქტები დადასტურდება, ოპოზიციას ამის დამტკიცება გაუჭირდება. როგორც აღმოჩნდა, იმ დაპირებების მიუხედავად, რასაც ისინი გასცემდნენ არჩევნების წინ, მათმა უმეტესობამ ვერ მოახერხა უბნების ოქმების საკმაო ნაწილის დროზე შეგროვებაც კი. ოპოზიციამ სერიოზული რეპუტაციული დანაკარგი მიიღო. ერთადერთი გამონაკლისი აღმოჩნდა მწვანეთა მემარცხენე პარტია, თუმცა ქვეყნის მასშტაბით, ეს პოლიტიკური ძალა არ არის იმხელა, რომ საერთო რეალობა და საზოგადოების განწყობა შეცვალოს.

**– მიწისძვრამდე რა ფაქტორები განაპირობებდა მმართველი პარტიის რეიტინგის კლებას და ქვეყანაში სიტუაციის ასე გაუარესებას?**

– ინფლაცია და ეკონომიკური სისტემის ცუდი მართვა, რომელმაც საქმე იქამდეც კი მიიყვანა, რომ დღეს, თურქეთში, არსებობს პარალელური სავალუტო კურსი. ამას ემატება სერიოზული სახაზინო კრიზისი, რომლის კომპენსირებაც გაურკვეველი წარმოშობის ფულით ხდება. ასევე, საბანკო საპროცენტო პოლიტიკა, რომელიც ინფლაციაზე უფრო დიდ გავლენას ახდენს, გაურკვეველი იმპორტ-ექსპორტის პოლიტიკა და ა.შ.

მიწისძვრის შემდეგ, ოფიციალური მონაცემებით, დაზარალებულ რეგიონებში ხელისუფლებამ დიდწილად შეინარჩუნა თავისი პოზიციები, ზოგიერთ შემთხვევაში, გაამყარა კიდეც. მაგალითად, ჰათაიში გართულებული იყო იმ ადგილებში ჩასვლა, სადაც რეგისტრირებულნი არიან. მართალია, ბევრმა მათგანმა საცხოვრებელი ადგილი დატოვა, მაგრამ სხვადასხვა დეტალების გამო, საარჩევნო რეგისტრაციის ადგილი არ შეუცვლია. თურქეთში სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილების ფასიც გაზრდილია, ამიტომ ბევრმა საარჩევნო უბანზე მისვლა ვერ მოახერხა. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციამ დიდი შედეგი მოიპოვა, დაზარალებულთა მიგრაციის გამო, ხელისუფლების პროცენტული მაჩვენებელი გამყარდა. სხვა რეგიონებში, ყველაფერთან ერთად, იმუშავა იმანაც, რომ ხელისფულებამ აქტიურად გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსი და პროპაგანდა, რომლის მიხედვითაც, თუ ოპოზიცია გაიმარჯვებდა, დაზარალებულები კომპენსაციასა და საცხოვრებელ ფართებს ვეღარ მიიღებდნენ.

**– ოპოზიციას რა დაპირებები აქვს, ძირითადად, რა გზავნილებით ცდილობს ამომრჩევლის გულის მოგებას?**

– არჩევნების დღემდე, ოპოზიციამ საკმაოდ კარგად მართა პროცესი, აქცენტები იყო ოპოზიციური ალიანსის მომცველობა-ინკლუზიურობაზე, ეფექტიან საჯარო მმართველობასა და გაკრვეული კეთილდღეობის საკანონმდებლობლო დონეზე დაბრუნებაზე. ასევე, სოციალური სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე, თუმცა პრობლემა ისაა, რომ თურქეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის იმ გაგებით „ვესტერნიზებული“, რა გაგებითაც ოპოზიციის საშუალო და მაღალი კლასის უმეტესობა. მათთვის დასავლური კანონის უზენაესობის ცნებები რეალურად არაფერს ნიშნავს და ზოგიერთ შემთხვევაში, არსებულ სტატუს-კვოსთან შედარებით, უარყოფითი მოვლენაც შეიძლება იყოს.

**– როგორი რეპუტაცია აქვს ერდოღანის კონკურენტს, ქემალ ქილიჩდაროღლუს?**

– ის ძველი, სტაჟიანი ბიუროკრატია, რეპუტაციით, მეტწილად, პატიოსანი – კარგი ადმინისტრაციული გამოცდილებით, თუმცა მის ამომრჩევლებშიც კი, უმეტესობას არ სწამს, რომ გააჩნია არჩევნებში გასამარჯვებლად საჭირო პოტენციალი. ეს საკმაოდ დიდი სისუსტეა მისთვის. რბილი, მეოჯახე, პატიოსანი კაცის სახელი არ ქმნის ისეთი ლიდერის იმიჯს, რომელიც, თუნდაც, გაყალბებისა და სხვა კრიზისის შემთხვევაში, შეძლებს ხალხის ხმების დაცვას, საპროტესტო აქციების ორგანიზებასა და მართვას, რაც უარყოფითად აისახება მის გრძელვადიან პერსპექტივებზე. ვინაიდან ოპოზიციის სტრატეგია იყო საზოგადოების სხვადასხვა წრის გაერთიანება, ამ დეტალებს ნაკლები ყურადღება მიექცა.

**– მისი გაამრჯვების შემთხვევაში, არის თუ არა რადიკალური ცვლილებები მოსალოდნელი?**

– შეიცვლება ფსევდოკონსერვატიული ნორმების თავსმოხვევა, შედარებით დასტაბილურდება ეკონომიკური მდგომარეობა, რადგან ერდოღანის ხელისუფლების პოლიტიკა მთლიანად პოლარიზაციაზე იყო დაფუძნებული და ამან არა მხოლოდ საზოგადოების სხვადასხვა წრეში დაპირისპირება, არამედ, სერიოზული საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია.

**– რა მოლოდინი გაქვთ მეორე ტურში, იმის გათვალისწინებით, რომ პირველმა ტურმა ერდოღანის უპირატესობა აჩვენა?**

– რეალურად თუ შევხედავთ, ერდოღანის უპირატესობა ბევრად უფრო ნაკლები იყო, უბრალოდ, არჩევნების ღამეს, ოპოზიციის მიერ სიტუაციის ცუდად მართვის შედეგად, სხვაგვარად მოხდა ყველაფერი.

რაც შეეხება მეორე ტურს, ვფიქრობ, ერდოღანის გამარჯვების შანსი მეტია, რადგან მთავარი მიზეზი ოპოზიციის არაორგანიზებულობაა. ნებისმიერ შემთხვევაში, არ მგონია, დიდი სხვაობა იყოს, თუ ოპოზიცია ისევ არაორგანიზებულობას გამოიჩენს, გამარჯვების შანსი ნაკლებად ექნება.

**– ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოსთან ურთიერთობებში თუ შეიცვლება რამე და რა მხრივ?**

– რადიკალურ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ, ზოგიერთი მიმომხილველი ავრცელებს ინფორმაციას, რომ რადგანაც ქილიჩდაროღლუს საპარლამენტო ფრაქციის თავჯდომარე, ენგინ ოზქოჩი ეთნიკური აფხაზი და სოხუმის ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერია, თითქოს, ეს დიდ გავლენას მოახდენს თურქეთის ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკაზე, აღიარებს აფხაზეთს და ა.შ. ეს ტყუილია! თურქეთში, აფხაზეთის მხარდაჭერა არის ინდივიდუალურ დიასპორულ დონეზე არსებული მოვლენა და ზოგად პარტიულ და სახელმწიფო პოლიტიკაზე ნაკლებად ახდენს გავლენას. შესაბამისად, რამე რადიკალურ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ.

ენგინს რაც შეეხება, მიუხედავად ქართულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციისა, ის არ მოიაზრებოდა საგარეო საქმეთა მინისტრად, არამედ, მისი კანდიდატურა შინაგან საქმეთა, ან ინფრასტრუქტურის მინისტრის პოზიციაზეა ნავარაუდები.

**– რას ფიქრობთ, არჩევნებზე რუსეთის გავლენის შესახებ, რა ფორმით და რა გზავნილებით მუშაობს რუსული პროპაგანდა თურქეთში?**

– რუსული პროპაგანდა ერდოღანის აქტიურ მხარდამჭერად გვევლინება, ვინაიდან მისი ხელისუფლების არსებობის პირობებში, თურქეთი გააგრძელებს ორაზროვან პოლიტიკას და ნატოს შიგნით ერთიანობის იმიჯის შექმნის დაბრკოლებას, რაც რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. მიუხედავად იმისა, რომ ერდოღანსა და პუტინს შორის, ბევრ საკითხზე შეთანხმება ვერ ხერხდება, ოპოზიციასთან შედარებით, რომელიც დასავლეთთან ურთიერთობების ნორმალიზებაზე ამყარებს საარჩევნო კამპანიას და დიდი ალბათობით ასეც მოიქცევა, რუსეთისთვის ერდოღანი უფრო მისაღები კანდიდატია.

# რა ქონებას ფლობს სერგეი ლავროვის ქალიშვილი ეკატერინა ლავროვა-ვინოკუროვა

მაკა რუხაძე

**რუსეთიდან საქართველოში უვიზო ავიამიმოსვლის სკანდალი სერგეი ლავროვის შვილის მაზლის საქართველოში დაგეგმილმა ქორწილმა გადაფარა. გასული კვირის ხმაურიან მოვლენადაც სწორედ ეს ამბავი, უფრო ზუსტად, ჩაშლილი და არშემდგარი ქორწილი იქცა. მართალია, საქართველოს არცერთი უწყება ოფიციალურად არ ადასტურებს, ბოლოს და ბოლოს, იყო თუ არა საქართველოში ეკატერინა ლავროვა, რომელიც მეუღლის გვარსაც ატარებს, მაგრამ იმის ალბათობაც კი, რომ დასავლეთის მიერ სანქცირებული პირები, შესაძლოა, საქართველოში ჩამოსულიყვნენ, უკვე სერიოზული ვნებათაღელვის საკმაოდ მყარი არგუმენტია. ამიტომ, არავის და, პირველ რიგში, ხელისუფლებას არ უნდა გაჰკვირვებოდა საზოგადოების რეაქცია. რეალურად, არც კი გაუკვირდებოდათ, რომ არა საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი ანუ ადგილი, სადაც ძაღლის თავი იყო დამარხული...**

**ამ სკანდალში ერთადერთი ჭეშმარიტება ის გახლდათ, რომ საქართველოში ქორწილს ეკატერინა ლავროვა-ვინოკუროვას მაზლი – მიკა ვინოკუროვი გეგმავდა, რომელმაც თავის რჩეულს ხელი ზიმბაბვეში სთხოვა, ქორწილი კი კახეთში დაგეგმა. არც მიკა ვინოკუროვი და არც მისი რჩეული სანქცირებულები არ არიან, მეტიც, მიკა ვინოკუროვი პუტინის პოლიტიკის კრიტიკით გამოირჩევა და ამას არც მალავს. არშემდგარი სკანდალის ძაღლის თავი კი იქ იყო დამარხული, რომ სანქცირებული ეკატერინა ვინოკუროვას ვითომდა საქართველოში ვიზიტი საზოგადოებას ელენე ხოშტარიამ ამცნო. იმ ელენე ხოშტარიამ, რომელმაც „მგიმო“ (საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტი) დაამთავრა. დიახ, ის ინსტიტუტი, რომელიც ჯერ საბჭოთა კავშირის, ახლა კი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების კადრების სამჭედლოდ ითვლება. კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი ისაა, რომ 2011 წელს – აგვისტოს ომიდან სამი წლის შემდეგ, პუტინთან დაახლოებული რეჟისორის, ნიკიტა მიხალკოვის შვილის ქორწილში, რომელიც საქართველოში გაიმართა, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა...**

„ტაში, ქალებო, ლავროვის შვილის მაზლი ცეკვავს!“

მართალია, არასანქცირებული მაზლის ქორწილი ჩაიშალა და სტუმრებმა ქვეყანა დატოვეს, მაგრამ „ვერსია“ გასული კვირის არშემდგარი სკანდალის მთავარი გმირის – რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის ერთადერთი ქალიშვილის, ეკატერინა ლავროვა-ვინოკუროვას ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ, თუმცა, მანამდე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეკატერინა ლავროვა, რომელიც ალექსანდრე ვინოკუროვის მეუღლეა, გაერთიანებულმა სამეფომ, აშშ-მა და და კანადამ დაასანქცირა.

გაგიკვირდებათ და, ეკატერინა ლავროვა-ვინოკუროვა აშშ-ს მოქალაქეა – 1982 წელს, ნიუ იორკში დაიბადა. ეს იმიტომ, რომ სწორედ 80-იან წლებში, მამამისი – სერგეი ლავროვი გაეროში საბჭოთა კავშირის ოფიციალური წარმომადგენელი იყო და ნიუ იორკში ცხოვრობდა. მოკლედ, ეკატერინას აშშ-ის მოქალაქეობა აქვს. სწავლობდა მანჰეტენის საშუალო სკოლაში, ამის შემდეგ – კოლუმბიის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე. საბოლოოდ, სწავლა დიდ ბრიტანეთში – ლონდონის უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე განაგრძო და მაგისტრის ხარისხიც მოიპოვა.

ამერიკული და ევროპული განათლების მიღების შემდეგ, მეუღლესთან ერთად, ეკატერინა მოსკოვში დაბრუნდა. როგორც აღვნიშნე, სერგეი ლავროვის ერთადერთი ქალიშვილი დაქორწინებულია ალექსანდრე ვინოკუროვზე. წყვილმა ერთმანეთი 2008 წელს, ლონდონში, ასპირანტურაში სწავლის დროს გაიცნო და 2010 წელს იქორწინა. იმავე წელს შეეძინათ ვაჟი – ლეონიდი და 2013 წელს – ქალიშვილი, რომლის სახელი რუსული მედიისთვისაც კი უცნობია.

ალექსანდრე ვინოკუროვი რუსია, უფრო ზუსტად, რუსი ებრაელია. ის მრავალი საინვესტიციო კომპანიის ტოპ მენეჯერია, კერძოდ, „მარათონ ჯგუფის“ (Marathon Group) საინვესტიციო კომპანიის მმართველი პარტნიორი და პრეზიდენტია. ალექსანდრე ვინოკუროვის საკუთრებაშია მთავარი რუსული ფარმაცევტული დისტრიბუტორი კომპანია – „SIA ჯგუფისა“ და სააფთიაქო ქსელის – „მეგა ფარმის“ აქციების საკონტროლო პაკეტები. სერგეი ლავროვის სიძემ კარიერა მამის – სემიონ ვინოკუროვის კავშირების საშუალებით აიწყო, რომელიც მოსკოვში, დიდი ხნის განმავლობაში, ფარმაცევტულ ბიზნესში საქმიანობდა. მამასთან ერთად, მას სიმამრის – სერგეი ლავროვის მხარდაჭერაც გამოადგა. ეკატერინა ლავროვა-ვინოკუროვას მეუღლეს, ალექსანდრე ვინოკუროვს რუსეთისა და ისრაელის მოქალაქეობა აქვს. ისრაელის მოქალაქეები არიან ლავროვის შვილიშვილებიც.

რუსული მედიის ინფორმაციით, ეკატერინა ლავროვა-ვინოკუროვას ქონებრივი მდგომარეობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, რუსი ჟურნალისტები ასკვნიან, რომ სერგეი ლავროვის ქალიშვილის საკუთრებაშია საკმაოდ ძვირადღირებული უძრავი ქონება – სახლები ნიუ იორკში, ლონდონსა და მოსკოვში, თუმცა მათი მისამართები და ფოტოები მკაცრად გასაიდუმლოებულია.

ასეთი კონსპირაციულობის მიუხედავად, რუსულ პრესაში მაინც გაჟონა ინფორმაციამ, რომ ეკატერინა ლავროვა-ვინოკუროვა ბრიტანული აუქციონის სახლის – Chritie's-ის რუსული ფილიალის დირექტორია, რომელიც ანტიკვარებსა და ხელოვნების ნიმუშებს ჰყიდის. 2015 წლიდან, ეკატერინამ საკუთარი ბიზნესი – Smart Art პროექტი წამოიწყო. რუსული მედიის ცნობით, ამ კომპანიის მიზანია, როგორც ხელოვნების ნიმუშების პოპულარიზაცია, ასევე შუამავლობა კოლექციონერებსა და ხელოვანებს შორის.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი – გაერთიანებულ სამეფოს, აშშ-სა და კანადას კიდევ ერთი ქვეყანა – იაპონიაც შეუერთდა, რომელმაც რუსეთს დამატებითი სანქციები დაუწესა. CNN-ის ინფორმაციით, იაპონიამ გაყინა რუსეთის 398 მოქალაქის, მათ შორის, ვლადიმერ პუტინის ქალიშვილების – კატერინასა და მარიას ქონება. სანქცირებულთა სიაში მოხვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის ოჯახის წევრებიც, მეუღლე – მარია ლავროვა და ქალიშვილი – ეკატერინა ლავროვა-ვინოკუროვა.

ცნობისთვის, იაპონიამ რუსი პოლიტიკოსების, ოლიგარქებისა და კომპანიების წინააღმდეგ სანქციები შარშანაც დააწესა. სანქციები 25 ფიზიკურ და 81 იურიდიულ პირს დაუწესა, მათ შორის, პუტინის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვის შვილებს; პუტინის ყოფილ თანაშემწეს იგორ შუვალოვსა და მის ოჯახს; რუს მილიარდერ ალექსეი მორდაშოვსა და სხვებს.

# ხარვეზები კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებში

მაკა რუხაძე

**სახელმწიფო აუდიტის სამსახური დაავადებების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებებით დაინტერესდა**

**არცთუ დიდი ხანია, რაც 40-დან 70 წლამდე ასაკის ადამიანებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას უგზავნიან და უფასო სკრინინგ-კვლევაზე იწვევენ. თუ თქვენი ასაკით ამ სამიზნე ჯგუფში ხართ, მსგავსი შინაარსის მესიჯს აუცილებლად მიიღებდით. ჰოდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა, რამდენად პროდუქტიული და საკმარისია კიბოს სკრინინგის პროგრამებში სამიზნე მოსახლეობის ჩართვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები 2018-დან 2021 წლამდე პერიოდში. საქართველოში სკრინინგ-პროგრამებში სამიზნე მოსახლეობის ჩართულობის რეკომენდებულ მაჩვენებელთან მნიშვნელოვნად ჩამორჩენის მიზეზები იდენტიფიცირებული აქვთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და კიბოს სკრინინგის პროგრამის განმახორციელებლებს. მათ მიერ არსებულ გამოწვევებზე საპასუხო ღონისძიებები ხორციელდება, თუმცა აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ეს ღონისძიებები არ არის სისტემური, რეგულარული, კომპლექსური და სათანადოდ კოორდინირებული.**

## ხარვეზები ცნობიერების ამაღლებასა და ქცევის შეცვლაში

ვიდრე სახელმწიფო აუდიტორების დასკვნას გაგაცნობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნების უმრავლესობაში და მათ შორის, საქართველოშიც, კიბოს დროული გამოვლენისა და მკურნალობის ადრეულ სტადიაში დაწყების მიზნით, დანერგილია კიბოს ადრეული გამოვლენის – სკრინინგ-პროგრამები. საქართველოში კიბოს სკრინინგის პროგრამები დედაქალაქში – 2008 წლიდან, ხოლო რეგიონებში – 2011 წლიდან ხორციელდება და მოიცავს საშვილოსნოს ყელის, ძუძუსა და კოლორექტული (მსხვილი ნაწლავის) კიბოს სკრინინგს. დადასტურებულია, რომ სკრინინგის პროგრამები მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა შედეგს, თუ ჩართულია სამიზნე მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ანუ 60%-70%.

სამწუხაროდ, საქართველოში, კიბოს სკრინინგის პროგრამებში სამიზნე მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი თითქმის ხუთჯერ ჩამოუვარდება რეკომენდებულს და არცერთი კიბოს სახეობისთვის არ აღემატება 13%-ს.

ახლა ვნახოთ, რა ხარვეზები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა. ცნობიერების ამაღლების მიზანია, უზრუნველჰყოს სამიზნე მოსახლეობის დიდი ნაწილის პროგრამაში მონაწილეობა. იქიდან გამომდინარე, რომ სკრინინგის პროგრამები განკუთვნილია ადამიანთა დიდი რაოდენობისათვის, მათში ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად საჭიროა მნიშვნელოვანი ინვესტიციების გათვალისწინება.

**„აუცილებელია მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევა გარკვეული შიშებისა და ბუნდოვანების გასაქარწყლებლად, რაც თან ახლავს კიბოსთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვას. მოსახლეობის განათლება ჯანდაცვის სფეროში გულისხმობს უახლესი ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას ინდივიდებისთვის, ან ჯგუფებისთვის, მათი ქცევის შეცვლის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე მოსახლეობასთან გასავრცელებელი ინფორმაცია, თუ გზავნილები უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ გაიდლაინებს, საჭიროა მათი ადაპტირება ადგილობრივი სოციალური ნორმების გათვალისწინებით. გზავნილები უნდა შედგეს საზოგადოებასთან თანამშრომლობით – მარტივი და გასაგები ენის გამოყენებით“,** – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ირკვევა, რომ საქართველოში, სახელმწიფო სკრინინგ-პროგრამები 15 წელია, არსებობს. პროგრამის 15-წლიანი ოპერირების მიუხედავად, მოსახლეობის არასაკმარისი ცნობიერება კვლავ რჩება მოცვის დაბალი მაჩვენებლის ძირეულ მიზეზად. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ამაზე საპასუხოდ არ არის შემუშავებული ერთიანი საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გააერთიანებს ცნობიერების ამაღლებისა და ქცევის შეცვლის მიზნით განსახორციელებელ აქტივობებს, საჭირო რესურსებსა და დაინტერესებული მხარეების როლს.

**„საქართველოში არ ხორციელდება მიზანმიმართული რეგულარული კამპანია, რომელიც დაფარავს ქვეყნის ყველა რეგიონს. „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ (NCDC) მიერ, 2019 წელს განხორციელებული ცნობიერების ამაღლების კამპანია მოიცავდა ორ რეგიონს და მომდევნო წლებში აღარ გაგრძელებულა. კამპანია არ ეფუძნებოდა სამიზნე მოსახლეობის კვლევას, რომელიც შეაფასებდა მათ ცოდნასა და დამოკიდებულებას კიბოს სკრინინგის შესახებ და გამოავლენდა სკრინინგ-პროგრამებში მათი დაბალი ჩართულობის მიზეზებს. შედეგად, კამპანიის ძირითადი გზავნილები იყო ზოგადი ხასიათის და ნაკლებად უწყობდა ხელს საზოგადოებაში კიბოს სკრინინგთან დაკავშირებით არსებული მცდარი წარმოდგენების დაძლევას.**

**ღონისძიებების განხორციელების შემდგომ, არ შეფასებულა მათი გავლენა და ეფექტიანობა. ამ კამპანიას სამიზნე ჯგუფის მოცვის მაჩვენებლების არსებითი ზრდა არ მოჰყოლია. აღსანიშნავია ისიც, რომ არ არის გამართული კიბოს სკრინინგზე სამიზნე მოსახლეობის მოწვევის სისტემა, რაც მოსახლეობის ქცევის შესაცვლელად ერთ-ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. კერძოდ, NCDC-ისა და სკრინინგ-ცენტრის მიერ, სამიზნე მოსახლეობის მოწვევის მიზნით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები არ არის პერსონალიზებული, იგზავნება არასისტემატურად და შაბლონური ტექსტის სახით, რაც სკრინინგის მოცვის მაჩვენებლის გაზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს“.**

კიბოს სკრინინგის სამიზნე მოსახლეობის უმეტესობა პროგრამაში მონაწილეობაზე უარს ამბობს ინფორმაციის არქონით გამოწვეული შიშის (კიბოს

*დასასრული მე-8 გვერდზე*

# ხარვეზები კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებში

დიაგნოზის. ან სკრინინგის პროცედურის შიში, სკრინინგის შესახებ ზოგადი ინფორმაციის არქონა), ან არასწორი დამოკიდებულების გამო (ელოდება ჩივილს, არ მიდის ექიმთან, თუ ძლიერ არ შეაწუხა ჩივილმა, არ აქვს დრო პროცედურების ჩასატარებლად). აქედან გამომდინარე, სამიზნე მოსახლეობის მოცვის მაჩვენებლის გასაზრდელად პირველი, ძირითადი ნაბიჯი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქცევის შეცვლაზე მუშაობაა.

## ხარვეზები დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ კიბოს სკრინინგის პროგრამა იზოლირებულია სხვა სახელმწიფო პროგრამებისგან და არ არის განსაზღვრული სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ფუნქცია-მოვალეობები, სკრინინგის პროგრამაში მოსახლეობის ჩართვის მიმართულებით. შედეგად, პროგრამის ეფექტიანობის გასაზრდელად ოპტიმალურად არ გამოიყენება დაინტერესებული მხარეებისა და სხვა პროგრამების რესურსები.

**„პირველადი ჯანდაცვის სექტორი არ ახორციელებს პროაქტიურ ღონისძიებებს სამიზნე მოსახლეობის კიბოს სკრინინგის პროგრამებში ჩასართავად. კერძოდ, პირველადი ჯანდაცვის ექიმების ღონისძიებები უმეტესად ვიზიტზე მისული პაციენტების ინფორმირებით შემოიფარგლება მაშინ, როდესაც კარგი პრაქტიკა ითვალისწინებს პაციენტის რეფერირებას სკრინინგის განმახორციელებელ დაწესებულებაში, პაციენტის სკრინინგ-პროცედურაზე მოწვევის პროცესში ჩართულობასა და სხვა. საქართველოში სოფლის ან ოჯახის ექიმების დაახლოებით მესამედი ახორციელებს პაციენტების რეფერალს სკრინინგ-პროგრამებში. ოჯახის ან სოფლის ექიმების ნაკლებჩართულობას ადასტურებს აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული სამიზნე მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმადაც კიბოს სკრინინგის პროგრამების შესახებ გამოკითხულთა 6%-ს სმენია ოჯახის ექიმებისგან“.**

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ აუდიტის ობიექტების მხრიდან არ განხორციელებულა სკრინინგ-პროგრამებში პირველადი ჯანდაცვის ექიმების როლის გააქტიურებისკენ მიმართული სისტემური ღონისძიებები. მათთვის არ არის გაწერილი სკრინინგ-პროგრამებთან დაკავშირებული შესაბამისი ფუნქციები და არ ხორციელდება ამ მიმართულებით მათი საქმიანობის მონიტორინგი. პირველადი ჯანდაცვის ექიმების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ნახევარზე მეტს არ გაუვლია კიბოს სკრინინგის პროგრამებთან დაკავშირებული ტრენინგები და არ მიუღიათ მითითებები პროგრამის პოტენციურ ბენეფიციარებთან კომუნიკაციისთვის საჭირო გზავნილების შესახებ.

**„მუნიციპალიტეტების მიერ, კიბოს სკრინინგის პროგრამების მხარდაჭერა სუსტია, ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების რესურსი აუთვისებელია კიბოს სკრინინგის პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მოსახლეობის ქცევის შეცვლის მიმართულებით. აუდიტის ჯგუფის მიერ, ორგანიზებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ 13 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ხუთმა განახორციელა ღონისძიებები სამიზნე მოსახლეობის სკრინინგის პროგრამებში ჩასართავად, ხოლო 11 საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან ხუთს – 2018-2021 წლებში, კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის მხარდამჭერი არცერთი ღონისძიება არ განუხორციელებია. მუნიციპალიტეტებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებისთვის არ არის გაწერილი კონკრეტული ვალდებულებები, მათი ფუნქციები და როლი კიბოს სკრინინგის ხელშეწყობის მიმართულებით. ამის გამო, მათი ჩართულობის მასშტაბი და ხარისხი კონკრეტული მუნიციპალიტეტის ინიციატივაზეა დამოკიდებული და ვერ უზრუნველჰყოფს კოორდინირებულ მუშაობას კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში უკეთესი შედეგების მისაღწევად“.**

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სკრინინგის მომსახურებაზე ტერიტორიული ხელმისაწვდომის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად გამოიყენება მამომობილები, თუმცა მამომობილების რესურსი აუთვისებელია პროგრამის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის ბარიერის შესამსუბუქებლად. დაინტერესებულ მხარეებს შორის სათანადო კოორდინაციის შედეგად, მოსახლეობის მობილიზების ღონისძიებების გააქტიურებით, მამომობილებს აქვთ შესაძლებლობა, ერთი ვიზიტის ფარგლებში მოემსახურონ მეტ ბენეფიციარს, ასევე ვიზიტები განახორციელონ უფრო მეტ მუნიციპალიტეტში. არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია კიბოს სკრინინგის პროგრამებში სამიზნე მოსახლეობის ჩართვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების გასაუმჯობესებლად.

## სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციები

მას შემდეგ, რაც კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებში ქვეყნის მთავარმა მაკონტროლებლებმა ხარვეზები გამოავლინეს, მათ აღმოსაფხვრელად და გამოსასწორებლად, გარკვეული რეკომენდაციებიც შეიმუშავეს, რომლებსაც უცვლელად გთავაზობთ:

**„სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (NCDC), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, სკრინინგ-პროგრამებში მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდის მიზნით, განახორციელოს სისტემური და რეგულარული ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.**

**იმისთვის, რომ ღონისძიებები იყოს ქმედითი, მნიშვნელოვანია: შემუშავდეს საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გააერთიანებს განსახორციელებელ აქტივობებს, საჭირო რესურსებსა და დაინტერესებული მხარეების როლს; ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართული კამპანიები და მის ფარგლებში გამოყენებული გზავნილები დაიგეგმოს მოსახლეობის დაბალი ჩართულობის რეალური მიზეზების შესაბამისად; უზრუნველყოფილ იქნეს დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაცია და მათი ჩართვა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში; გაანალიზდეს და შეფასდეს ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებების შედეგები, სამომავლოდ უფრო ქმედითი ღონისძიებების შერჩევის მიზნით; სკრინინგ-პროგრამების სამიზნე მოსახლეობის ქცევის შეცვლის მიზნით, რეგულარულად დააგზავნოს პერსონალიზებული მოწვევები საქართველოს მასშტაბით, რისთვისაც აუცილებელია სამიზნე მოსახლეობის შესახებ პერსონალური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება.**

**სამინისტრომ NCDC-სთან ერთად, კიბოს სკრინინგ-პროგრამის სხვა პროგრამებთან ინტეგრაციისა და დაინტერესებული მხარეების რესურსების პროდუქტიულად გამოყენების მიზნით, ხელი შეუწყოს კოორდინაციის პროცესის გაუმჯობესებას, რისთვისაც მნიშვნელოვანია: შეიმუშაოს დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, პირველადი ჯანდაცვის რგოლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების პოტენციური როლებისა და ფუნქციების ამსახველი სქემა-გზამკვლევი, რომელიც სახელმძღვანელო იქნება მათთან სამომავლო კოორდინაციისათვის; გაწეროს მათთან კოორდინაციის ფორმა, პერიოდულობა, მიზანი და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირები; შეიმუშაოს დაინტერესებული მხარეების მიერ განხორციელებულ აქტივობებზე ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და შესაბამისი უკუკავშირის-რეაგირების მექანიზმი“.**

# სამართალი

№18 24 მაისი 2023 წ


# რატომ დააკავეს პირდაპირ სტადიონზე ორი ქართველი ფეხბურთელი

## ჩაწყობილი მატჩების სკანდალური კრიმინალური ანატომია

ბათო ჯაფარიძე


**ისტორიას თუ დავუჯერებთ, პირველი გარიგებული საფეხბურთო მატჩი 1932 წელს გაიმართა. მას შემდეგ, ლამის საუკუნე გავიდა და მოგვარების ნაცვლად, პრობლემა სულ უფრო ღრმავდება, თანაც რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კონკრეტულად სპორტის სამყაროში, ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ლამის უმაღლეს ნიშნულს მიაღწია და ყველაფერი ეს, გარიგებული მატჩების შესაძლებლობას ბევრად ზრდის, მისი გამოაშკარავების შანსს კი ამცირებს. მარტივ მაგალითს გეტყვით – აბსოლუტურად ყველა საბუკმეიკერო კანტორას აქვს მატჩებზე ფსონი – პირველი აუტი, პირველი ჯარიმა... ჰოდა, საკმარისია, ერთ ფეხბურთელს გაურიგდე, მაგალითად, პირველ აუტზე, რომ მატჩის დაწყებისთანავე გააკეთებს შორეულ პასს, თითქოს, ძალა ვერ გათვალა და ბურთი აუტზე გადააგდო, ან ბურთიან მეტოქეს ხელი უბიძგოს და დამთავრდა – ფსონი მოგებულია. გრძელი პასებიც ბევრჯერ გაუცუდებიათ ფეხბურთის გურუებს და არც ჯარიმაა უცხო ვარსკვლავებისა, თუ რიგითი მოთამაშეებისთვის. უფრო მარტივი, დაინიშნება თუ არა შეხვედრაში პენალტი, ამ კოეფიციენტზე კუში 3.00-დან იწყება. საკმარისია, ერთ მცველს გაურიგდე, რომ ის საკუთარ საჯარიმოში, მეტოქეს საპენალტედ მოჩეხავს...**

ბევრად საინტერესოა თამაში ე.წ. ცოცხალზე ანუ მიმდინარეობს მატჩი, დაინიშნა პენალტი და ონლაინ-ტოტალიზატორი პენალტის შესრულებამდე იღებს ფსონებს – გაიტანს თუ არა დამრტყმელი?! მარტივად დადებ ვერგატანაზე და თუ გუნდის შტატიანი პენალტისტი გყავს მოსყიდული, რა თქმა უნდა, ააცილებს... ბოლოს და ბოლოს, რობერტო ბაჯომ ააცილა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში და დიდი რამე, რიგით მატჩში, ვიღაცამ ვერ გაიტანოს. სამწუხაროდ, გარიგებული მატჩები არც ქართული სპორტისთვისაა უცხო. შეიძლება ამის ბრალიც არის, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრები პროგრამაში ერთ, ან ორ საბუკმეიკერო კანტორას აქვს შეტანილი და ფსონებიც ძალიან ფრთხილია. უფრო ზუსტად, მხოლოდ მოგება-წაგებაზე შეიძლება თამაში და არა, მაგალთად, აუტებსა თუ ჯარიმაზე. აი, ძალით წაგებას ცოდნა უნდა, ეჭვი არავის უნდა აღეძრას და ყველაფერ ამისთვის, მხოლოდ ერთი ფეხბურთელის მონდომება არ კმარა, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, აზრზე 4-5 მოთამაშე მაინც უნდა იყოს და ამათგან აზრზე უნდა იყოს, პირველ რიგში, მეკარე, თორემ შეიძლება, კიპერს თამაში ისე წაუვიდეს, ქართულმა კლუბმა კი არა, მსოფლიო ნაკრებმა გოლი ვერ გაუტანოს. გეტყვით, ცუდი რა არის ქართულ რეალობაში – გარიგებულ მატჩებზე ჩავარდნილ მოთამაშეებს, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში სამუდამო დისკვალიფიკაციასა და სპორტის კონკრეტულ სახეობასთან გაკარებას უკრძალავენ, ასე ხდება საქართველოშიც, მაგრამ ჩვენთან არცთუ იშვიათად ყოფილა, რომ ერთი-ორი წლის გასვლის შემდეგ, დამნაშავეებისთვის ამნისტია გამოუცხადებიათ სპორტის მაღალჩინოსნებს და მათ კარიერა განუახლებიათ.

რატომ არის ეს ცუდი? – დანარჩენებს მუდმივად ექნებათ შეგრძნება, რომ ჩავარდნის შემთხვევაში, ყველაფერი არ სრულდება. შორს წასვლა რად გვინდა, ჩვენს ჩემპიონატში დღესაც თამაშობენ გარიგებული შეხვედრებისთვის სამუდამო დისკვალიფიკაციამისჯილი და შემდეგ შეწყალებული ფეხბურთელები.

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა. რა თქმა უნდა, სახელებისა და გვარების დასახელებას არ ვაპირებთ, მაგრამ ამ სფეროში ჩახედული ხალხი კარგად მიხვდება, ვისზეა საუბარი. ყველაფერი, თითქოს მარტივად დაიწყო – ერთ-ერთმა მწვრთნელმა ტრიბუნაზე შენიშნა პირი, რომელმაც რამდენიმე თვის წინ, შესთავაზა მატჩის წაგება 8 ათასი დოლარის სანაცვლოდ. მაშინ მწვრთნელმა ცდუნებას გაუძლო, მაგრამ ახლა, როცა ის კაცი ტრიბუნაზე დაინახა, არ მოეეწონა და ორივე გუნდის ფეხბურთელებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. შეხვედრა ფრედ დასრულდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გარიგების სუნი არ იდგა, ფრედ დასრულება ყოველთვის რთულია, მაგრამ ეჭვმა თავისი ქნა და მწვრთნელმა ქართული საბუკმეიკერო კანტორები შემოიარა, ვინმეს ფრეზე დიდი თანხა ხომ არ ედოო. ასეთი ვერაფერი იპოვა, დამშვიდდა და საკუთარი თავი გაკიცხა კიდეც, თუმცა ორ კვირაში, პოლიციაში დაიბარეს. როგორც გაირკვა, საჩივარი ერთ-ერთმა უცხოურმა ტოტალიზატორმა შეიტანა, რომელიც ჩიოდა, რომ კონკრეტულ მატჩზე, ვიღაცამ 20 ათასი დოლარი დადო და 66 ათასი გაიტანა. თითქოს თანხა დიდი არ იყო, მაგრამ ტოტალიზატორის მესვეურები ამტკიცებდნენ, ჩანაწერს გადავხედეთ და ფეხბურთელები მკვდრებივით დადიოდნენ, ერთ-ერთ ეპიზოდში კი თავდამსხმელმა ბურთი განგებ ააცილაო.

რა შუაში იყო მწვრთნელი? ქართველმა სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ სწორედ ის დადიოდა აქაურ კანტორებში და ფრეს ამბავს კითხულობდა ანუ რაღაცაზე, თუ ვიღაცაზე ეჭვი ჰქონდა. რა თქმა უნდა, მწვრთნელმა საკუთარი ეჭვები გაამხილა და ისიც თქვა, რამდენიმე თვის წინ, ეგ კაცი ჩემთან იყო, კონკრეტული თამაშის წაგებას მთხოვდა, მაგრამ კინწისკვრით გავაგდეო. სამართალდამცავებმა მწვრთნელი გააფრთხილეს, რომ არავისთვის არაფერი ეთქვა.

ეჭვმიტანილზე თვალთვალი დაიწყეს და სამართალდამცავებმა მალე გაარკვიეს, რომ ის სხვადასხვა კლუბის მოთამაშეებს ხვდებოდა, ესაუბრებოდა, გაყიდული თამაშების სანაცვლოდ, 8-დან 10 ათას დოლარამდე სთავაზობდა ანუ მზად იყო, თითო მატჩში 4-5 ფეხბურთელი მოესყიდა და 40-დან 50 ათას დოლარამდე გადაეხადა. ერთ-ერთი კლუბის მოთამაშეებთან გარიგება შედგა და ძალოვნები აღნიშნულ შეხვედრას ტრიბუნებიდან ყურადღებით უყურებდნენ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ფეხბურთელები იმდენად უკომპრომისოდ იბრძდნენ, რომ ჩაწყობაზე ეჭვის მიტანა სისულელე გახლდათ. სამაგიეროდ, ორგანიზატორი სარბენ ბილიკზე იდგა და მის ყოველ ქმედებას ოპერმუშაკები ვიდეოკამერაზე იღებდნენ. აღნიშნული ფირის გაშიფრვის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეჭვმიტანილი ფეხბურთელებს ნიშანს კეპის მოხდა-დაფარებით აძლევდა, მაგრამ რა ხდებოდა მაშინ, როცა ის კეპს იხდიდა და მაშინ, როცა იფარებდა?

პარალელურად, მოხდა-დაფარებას შორის არსებულ მონაკვეთში, ის ტელეფონს ჩაჰკირკიტებდა და დაძაბული აჭერდა ღილაკებს.

იმავე გუნდის მიერ ჩატარებულ მეორე შეხვედრას ძალოვნებმა უკვე ექსპერტებიც დაასწრეს. ამჯერად, ეჭვმიტანილს ჰუდი ეცვა, თუმცა ქუდს იხდიდა-იფარებდა, შუალედებში კი ტელეფონს ჩაჰკირკიტებდა. ერთ-ერთმა ექსპერტმა პოლიციელებს ტრიბუნებზევე უთხრა, მოსყიდული მხოლოდ ორი ფეხბურთელი ჰყავს, როცა ქუდს იხდის, ერთ-ერთი მათგანი მაშინვე თასმებს ისწორებს, ხოლო როცა იფარებს – მეორე ფეხბურთელი ისწორებს თასმებს ანუ ანიშნებს, გავიგეო. რაც შეეხება „ჩაწყობას“, როგორც მოხდის, ისე ქუდის დაფარების შემდეგ, ფეხბურთელები, რომლებიც თასმებს ისწორებდნენ, აუცილებლად ჯარიმდებოდნენ მეტოქეზე. იმავე დღეს, პოლიციელებმა გაარკვიეს, რომ ერთ-ერთ ჰოლანდიურ საბუკმეიკერო კანტორას, ჯარიმების გამოცნობაზე „ცოცხალზე“, ფსონები ჰქონდა და თითო თამაშში ეჭვმიტანილი 20 ათას დოლარამდე ხსნიდა.

ქართული მხარე ჰოლანდიურს დაუკავშირდა, თუმცა მათ ძალიან მშვიდად თქვეს, ყველაფერი ეს, საეჭვოდ ჩვენც გვეჩვენა და სწორედ ამიტომ, ქართულ ლიგას მომდევნო კვირიდან მთლიანად ვიღებთ ფსონების სიიდანო. აქაურმა პოილიციამ პროცესის ერთი კვირით გადადება მოითხოვა და პირობაც დადო, რასაც მოიგებენ, არ გასცეთ, ანგარიში გაუყინეთო და ჰოლანდიელებიც დათანხმდნენ. შემდეგი შეხვედრის დასრულებისთანავე, სამართალდამცავებმა როგორც ეჭმიტანილი, ისე ორი ფეხბურთელი პირდაპირ სტადიონზე დააკავეს.

დაკავებულმა ფეხბურთელებმა თითქოს მოილაპარაკეს, ორივემ ერთდროულად თქვა, ის კაცი გვაშინებდა, იმიტომ დავთანხმდით, თორემ მატჩების ჩაწყობა არც გვიფიქრიაო, მაგრამ მათი ბინის ჩხრეკისას, თითოეულს სახლში 12 ათასი დოლარი უპოვეს, თანხა, რომელიც ეჭვმიტანილმა დაასახელა, ფეხბურთელებს მივეციო.

ცხადი იყო, ისინი ჰარმონიულად მუშობდნენ, დარწმუნებულები გახლდნენ, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებდა და მოგება ხახვივით შერჩებოდათ.

გარდა იმისა, რომ დაკავებულებს სასამართლომ 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოთამაშეებს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა, მაგრამ რად გინდა, ორი წლის შემდეგ, ბიჭები ციხიდან გამოვიდნენ, ფედერაციამ სასჯელი შეარბილა და მოედანზე დაბრუნების შესაძლებლობა ორივეს მისცა. ერთ-ერთმა გამოიყენა და ბურთს დღემდე აგორებს, მეორემ – არა, ყველაფერს თავი დაანება და საზღვარგარეთ, კონკრეტულად, აშშ-ში გაემგზავრა, ფეხბურთი კი საერთოდ დაივიწყა.

ჰოდა, სწორედ ამას ვამბობთ, როცა სასჯელის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია, შემდეგ მისი გადახედვა და გადასინჯვა აღარ უნდა მოხდეს, ყველაფერი ეს, კონკრეტულ ადამიანებს დამატებით სტიმულს აძლევთ დანაშაულის ჩასადენად.

რაც შეეხება მსოფლიო პრაქტიკას, შიდა ჩემპიონატები კი არა, ჩემპიონთა ლიგა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონტების თამაშებიც „იმაზებაო“, ამბობენ, მაგრამ მტკიცებულებების ნაკლებობის გამო, ყველაფერი საუბრის დონეზე რჩება.

ისე, არ გეგონოთ, თითქოს მატჩების გაყიდვა თუ მოთამაშეების მოსყიდვა მხოლოდ ფეხბურთში ხდება. ბევრად უარესი სიტუაციაა კალათბურთში, ჩოგბურთში, ფრენბურთში..

ბათო ჯაფარიძე

# „ქვეყანას ხორცმეტებისგან ვასუფთავებთ და ჯილდო უნდა მოგვცეთ!“



## ცნობილი მშობლების შვილებმა თბილისში ორი „ბარიგა“ მოკლეს

**იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ოჯახის წევრების გარდა, გარდაცვლილი ადამიანი არავის ეცოდება. მაგალითად, სერიული მკვლელი, არასრულწლოვნებზე მოძალადე, ნარკოდილერი... ისე, „ბარიგა“, რომელსაც ლამაზი სიტყვა, „ნარკოდილერი“ უწოდეს, სერიულ მკვლელთან უნდა იგივდებოდეს. ეგებ, ნარკოტიკის თითოეულ გამყიდველს ყველაზე ცნობილ სერიულ მკვლელზე მეტი მსხვერპლი აწევს კისერზე?! ალბათ, ამიტომაც იყო, ხუთიოდე წლის წინ, თბილისში მომხდარი მკვლელობა საინფორმაციოებმა ჩვეულებრივ ამბად რომ აღიქვეს და შემდეგ ეს თემა ყველამ დაივიწყა. მიზეზი რამდენიმე გახლდათ და მათგან უმთავრესი ის იყო, რომ გარდაცვლილის პროფესია სამართალდამცავებმა მალე გაარკვიეს, ის ჩვეულებრივზე ჩვეულებრვი „ბარიგა“ გახლდათ, ოჯახმაც ბოლომდე ვეღარ თუ აღარ იბრძოლა, რადგან სოციალურ ქსელში ამ მკვლელობას არაერთი აგრესიულად გამოეხმაურა, კარგია რომ მოკლეს, რაც მაგან ახალგაზრდები დაღუპაო და... ნაგავს რაც უფრო მეტად გაქექავ, მით მეტი სიმყრალე იგრძნობა, ამიტომ ოჯახი გაჩერდა და გაჩუმდა. სამაგიეროდ, ძალოვნები არ გაჩერდნენ და ძიება ყველა მიმართულებით დაიწყეს.**

ნელ-ნელა ძალოვნებმა იმის გარკვევა დაიწყეს, რომ ნარკოდილერი საკმაოდ პოპულარული იყო კლუბური ნარკოტიკების მოყვარულთა შორის. მძიმე ნარკოტიკს იშვიათად ჰყიდიდა, მაგრამ არა – დაფასოებულსა და „ჩეკებით“, არამედ – დიდ პარტიას, მაგალითად, 100 გრამს ერთად და დიდ კუშსაც იღებდა. თურმე, ის მუდმივად იმეორებდა, მძიმე ნარკოტიკზე რომ დამიჭირონ, ციხეში ამომალპობენ, კლუბურზე კი თავს როგორმე დავიძვრენო. აქედან დასკვნა – მძიმე ნარკოტიკს მხოლოდ ისეთ ადამიანებზე ჰყიდიდა, ვისაც ბოლომდე ენდობოდა და ჩავარდნის არ ეშინოდა, თორემ უცხოს რომ ეთქვა, მაგალითად, კოკაინი მინდაო, ისეთ ამბავს დააწევდა, უპატიოსნესი კაცი გეგონებოდათ. ასე იყო თუ ისე, ეს „უპატიოსნესი“ კაცი ახლა მორგში იწვა და სამართალდამცავები თავს იმტვრევდნენ, ვის შეიძლებოდა გაემეტებინა სასიკვდილოდ. შეიძლება, მსურველი ბევრი იყო, მაგრამ იმ ბევრში ნამდვილი მკვლელის პოვნა გაჭირდებოდა.

ძალოვნები მალე გამოუტყდნენ ერთმანეთს, რომ ბარიგის მკვლელის მოძებნა მხოლოდ იმისთვის იყო საჭირო, საქმე გახსნილად ჩათვლოდათ, თორემ მის გარდაცვალებას დიდად არავინ დარდობდა და არავინ ვიშვიშებდა, ვაი, ეს რა დაგვემართაო. ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც მომხდარიდან ორიოდე კვირაში, კიდევ ერთი, ახლა უკვე „ბარიგობისთვის“ წარსულში ნასამართლევი კაცი მოკლეს. თათბირზე გამოითქვა ვერსია, რომ ვიღაც ნარკოდილერებს დაერია და ეს, ერთი მხრივ, არ იყო ცუდი ამბავი (რა თქმა უნდა, ეს ხუმრობით თქვეს, მაგრამ გულის სიღრმეში, ეგებ, ასეც ფიქრობდნენ), თუმცა მეორე მხრივ, ვიღაცას ქუჩა-ქუჩა ევლო და ხალხი ეხოცა, არ გამოვიდოდა. ამიტომ, საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ და გაკითხვები ნარკოდამოკიდებულებში დაიწყეს. არავინ არაფერი იცოდა და რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, „ბარიგების“ სიკვდილი მათ ძალიან უხაროდათ, მეტის ღირსები არიან, ეგენი რატომ უნდა ცოცხლობდნენო და რეალურად, რომ არა ნარკოტიკების გამსაღებლები, ნარკოდამოკიდებული ადამიანები, უბრალოდ, არ იქნებოდნენ.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ძალოვნებს დანაშაული აუცილებლად უნდა გაეხსნათ და აგენტურული ქსელი ბოლომდე აამუშავეს. მოპოვებულ ინფორმაციებს ერთმანეთს ადარებდნენ, ცდილობდნენ, რაღაც კანონზომიერება ეპოვათ, თორემ იმდენი ჭორ-მართალი აიზილა ერთმანეთში, თავსა და ბოლოს ვერ იგებდნენ, თანაც ინფორმატორთა უმრავლესობა ნარკოდამოკიდებული იყო და ამტკიცებდა, ჩემი ყურით მოვისმინეო, მაგრამ თუ მოსმენის დროს თრობის ქვეშ იყო, შესაძლოა, საერთოდაც არაფერი ჰქონდა მოსმენილი და უბრალოდ, საკუთარ ფანტაზიებს უზიარებდა გამოძიებას.

გამოძიება ჩიხში შევიდა. არაფერი ჰქონდა ხელჩასაჭიდი და ერთადერთი სამხილი, რომელიც დანაშაულის ადგილზე იპოვა და არ ახმაურებდა, ხელნაკეთი „ბრელოკი“ იყო, რომელზეც ერთ მხარეს გულის ფორმა იყო ამოტვიფრული, მეორე მხარეს – ლომის. ხელნაკეთ ნივთებს საქართველოში, ვისაც არ ეზარება, ვყელა აკეთებს, ყველას საკუთარი გვერდი აქვს სოციალურ ქსელში, ყველა ხარისხზე დებს თავს. სინამდვილეში, ხელნაკეთი ნივთების 95%-ზე მეტი, უბრალოდ, იაფფასიანი ბიჟუტერიაა, მათგან ნივთების შექმნა ინტერნეტში ისწავლება, ვიღაცები სწავლობენ, ითვისებენ და თავი „პროფესორებად“ მოაქვთ. მოკლედ, „ბრელოკის“ გამკეთებელ-დამამზადებელი მალე იპოვეს, ნივთებს სოციალური ქსელით ჰყიდიდა და ისიც თქვა, ლომი ზოდიაქოს ნიშნის აღმნიშვნელია, გული – სიყვარულის და მარტივად იყიდება, 10 ლარს ვაფასებო. მას არ ახსოვდა, ვის მიჰყიდა კონკრეტულად ეს ლომი, რადგან ზოდიაქოს ამ ნიშნით, დაახლოებით, ათი ცალი ჰქონდა გაყიდული, თუმცა გამომძიებლებს არ დაეზარათ და ათივე გადაამოწმეს. პრაქტიკულად, ყველა მყიდველი გოგონა იყო, სავარაუდოდ, ან თავისთვის უნდოდათ, ან შეყვარებულებს აჩუქეს და ყველა გოგონას გამოკითხვამ ორი დღე წაიღო. ოთხს „ბრელოკი“ თავად ჰქონდა დატოვებული, ექვსს – გაჩუქებული და ახლა ამ ექვსეულის შესწავლა დაიწყეს. საეჭვო არავინ მოეჩვენათ, თუმცა ერთ-ერთი მათგანი, ცნობილი მამის არანაკლებ ცნობილი შვილი, ღამის კლუბების ხშირი სტუმარი იყო და სამართალდამცავებს „მოსაშარდად“ და ნარკოტიკებზე გადასამოწმებლად, მხოლოდ მამის ხათრით არ დაჰყავდათ. მას თვალთვალი დაუწყეს.

მალე გაირკვა, რომ ბიჭი დროს სამ მეგობართან ერთად ატარებდა. ისინიც ცნობილი მამების შვილები იყვნენ, ისინიც ღამის კლუბებს სტუმრობდნენ და მათზეც იყო ინფორმაცია, რომ ნარკოტიკებს არცთუ იშვიათად იღებდნენ. შეეძლოთ მათ „ბარიგების“ მოკვლა? რა თქმა უნდა, შეეძლოთ, მაგრამ რატომ, ან რისთვის? ფული მათთვის პრობლემა არ იყო, არც ის იყო პრობლემა, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ გადაადგილებულიყვნენ და რაღატომ უნდა გაერისკათ? ანუ იყო შესაძლებლობა, მაგრამ არ იყო მოტივი. არადა, მოტივი გამოძიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტიორია – არის მოტივი, არის დანაშაული. მოტივის გარეშე კი, დანაშაულის დამტკიცება, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. ამის მიუხედავად, ოთხეულზე თვალთვალი გრძელდებოდა და ამან თავისი შედეგი მოიტანა...

დაახლოებით, ათი დღის შემდეგ, ბიჭებმა კიდევ ერთ „ბარიგას“ დიდი პარტია ნარკოტიკი შეუკვეთეს და შეხვედრა მიყრუებულ ადგილზე დაუნიშნეს. სატელეფონო საუბრის მოსმენის შემედეგ, იმ ადგილზე პოლიციამ ჩასაფრება მოაწყო. ნარკოდილერი შეხვედრაზე მარტო მივიდა, ავტომობილიდან თამამად გადმოვიდა და როცა ოთხეულის ხელში დანები დაინახა, ცოტა დაფრთხა, შემდეგ ნარკოტიკი მათ წინ დააგდო და რაც შეეძლო, მშვიდად უთხრა – „თქვენი იყოს, მაგრამ იცოდეთ, ამ წამლის უკან ძალიან სერიოზული ხალხი დგას და ჩემს „გადაგდებას“ არ გაპატიებენო“. ბიჭებს ჩაეცინათ და ის იყო, „ბარიგა“ დანებით უნდა აეკუწათ, მათ თვალი პროჟექტორების სინათლემ მოსჭრა და სირენების გამაყრუებელი ხმაც გაისმა. ბიჭებმა დანები დაყარეს და ხელები აწიეს, „ბარიგას“ კი სახეზე ენით აღუწერელი სიხარული ეხატა. ის წამალზე ჩავარდა, მაგრამ სამაგიეროდ, გადარჩა. ოთხივე დაკავებული ცალ-ცალკე კამერებში განათავსეს და ცალ-ცალკე დაკითხეს. გამომძიებლებს ეგონათ, რომ ეჭვმიტანილები დუმილს შეინარჩუნებდნენ, გავლენიანი მამების ზარებს დაელოდებოდნენ, მაგრამ ოთხივე ერთდროულად ალაპარაკდა და ყველა ერთსა და იმავე ისტორიას ჰყვებოდა.

„ჰო, ის ორი ბარიგა ჩვენ მოვკალით და გაჩერებას არ ვაპირებდით. ჩვენ საქართველოს სანიტრები გავხდით, ქვეყანას ხორცმეტებისგან ვასუფთავებთ და დაკავების ნაცვლად, ჯილდო უნდა მოგვცეთ. აქედან გაგვიშვით და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა მოგვეცით. სხვაგვარად, საქართველოს ახალგაზრდობას ნარკოტიკი დაღუპავს“, – ამბობდნენ დაკავებულები.

მათივე მონათხრობის მიხედვით, „ბარიგებს“ დიდი ოდენობით ნარკოტიკს უკვეთავდნენ, ისინიც მარტივად ენდობოდნენ, რადგან ზუსტად იცოდნენ, ვინ იყვნენ მათი მამები და ისიც იცოდნენ, რომ ბიჭებისთვის ფული პრობლემა არ იქნებოდა. ამიტომ, დანიშნულების ადგილზე თამამად მიდიოდნენ, იქ კი ხვდებოდნენ, რომ განწირულები იყვნენ. საქმე მალე შეიკრა და სასამართლოს გადაეცა, თუმცა გადაეცა ისე, რომ ხმაური არ ატყდა, დაზარალებული მხარე ჟურნალისტებს არ ეძახდა, ვერ ამხელდნენ, რომ „ბარიგების“ ნათესავები იყვნენ, ეგ კი არა და, სასამართლო პროცესებზე სიარულსაც გაურბოდნენ. საბოლოო ჯამში, სასამართლომ ოთხივეს ერთნაირი სასჯელი – 7-7 წელის მისცა, რაც განზრახ, ჯგუფურად ჩადენილი მკვლელობისთვის ზედმეტად მსუბუქი სასჯელი იყო, თუმცა თავისი როლი მამების გავლენებმაც შეასრულეს და იმანაც, ვინ იყვნენ გარდაცვლილები. ცოცხლად დარჩენილ „ბარიგას“ დიდი ოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვა-გასაღებისთვის, 20-წლიანი „სროკი“ აჰკიდეს.

აქ მარტივად შეიძლებოდა წერტილის დასმა, მაგრამ... სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ, ოთხეული გაათავისუფლეს, თუმცა ოთხივემ კატეგორიული გაფრთხილება მიიღო, რომ „ბარიგებზე“ გამოცხადებული ნადირობის სეზონი უნდა დასრულებულიყო და... ალბათ, დასრულდა კიდეც, რადგან მას შემდეგ, ანალოგიური დანაშაულის შემთხვევა აღარ გვქონია.

ბათო ჯაფარიძე

**სამწუხაროდ, დღეს, 21-ე საუკუნეშიც კი, არცთუ იშვიათია სექსუალური ძალადობის შემთხვევები. უფრო სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ ბოლო დროს ძალადობენ არასრულწლოვნებზე, შშმ პირებზე, მოხუცებზე... კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ კონკრეტულად ამ მიმართულებით, სისხლის სამართლის კოდექსი აუცილებლად გადასახედია და კანონი უნდა გამკაცრდეს, თანაც უბრალოდ კი არ უნდა გამკაცრდეს, არამედ, ისეთი სასჯელი უნდა იყოს მოძალადეზე, რომ სანამ დანაშაულს ჩაიდენს, კარგად დაფიქრდეს და იცოდეს, ჩადენილი ქმედებისთვის 6-7 წელი კი არა, საუკეთესო შემთხვევაში, სასჯელის ათვლა 20 წლიდან დაეწყება და ამ მუხლს არ უნდა შეეხოს არც პირობით ვადამდე გათავისუფლება, არც – პრეზიდენტის შეწყალება.**

# საზარელი დანაშაული – ფეხმძიმე ქალი გააუპატიურეს

## ვინ არის მოძალადე მამაკაცი და როგორ გავიდა გამოძიება დამნაშავის კვალზე

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, 2002 წელს დაიწყო და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წელს დასრულდა. ახალგაზრდა გოგონა პოლიციის განყოფილებაში დედამ მიიყვანა და გამომძიებელ ქალთან შეხვედრა ითხოვა. მართალია, გამომძიებელი არა, მაგრამ ქალი ოპერ-მუშაკი მიიყვანეს და სწორედ მას უთხრა დედამ, რომ შინისკენ მიმავალი შვილი უცნობმა პირმა გააუპატიურა. შემთხვევა დედაქალაქში, გარეუბანში მოხდა. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები გავიდნენ. კორპუსებამდე მოკლე გზა მიტოვებული ქარხნის ტერიტორიაზე გადიოდა და მოსახლეობა ამ გზით ხშირად სარგებლობდა, თუმცა მანამდე არც ძარცვა-ყაჩაღობის, მით უმეტეს, გაუპატიურების შემთხვევა არასდროს ყოფილა. გოგონა შინ იმ გზით ხშირად ბრუნდებოდა... ნელა მიმავალი მამაკაცი დაინახა, ჩვეულებრივ გასცდა, შემდეგ კი პირზე ხელი ააფარეს და დანგრეული შენობის პირველ სართულზე შეათრიეს. მამაკაცმა დანა ამოიღო, უჩხვლიტა კიდეც და უთხრა, თუ არ გინდა, მოგკლა, ხმა არ გაიღოო. შემდეგ კი, მისივე ქურთუკი დააფარა და უბრძანა, 5 წუთი არ გაინძრეო. გოგონა, მართლაც, არ განძრეულა, ხუთი წუთის შემდეგ ქურთუკი ფრთხილად გადაიძრო, ჩაიცვა, შინ მივიდა და ყველაფერი დედას უამბო, დედამ კი პოლიციაში წაიყვანა.

სამართალდამცავების გასაოცრად, ადგილზე, პრაქტიკულად, სამხილი არ იყო. ერთადერთი, ექსპერტმა ფეხსაცმლის ახალი ანაბეჭდი იპოვა და სურათი ყველა რაკურსით გადაუღო, სპეციალური სითხით ნაკვალევის ანაბეჭდი აიღეს... ერთადერთი სამხილი გოგონას სხეულიდან ამოღებული სპერმა იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ თავდამსხმელი ამ მიმართულებით არ ფრთხილობდა, რადგან დაკავების შემთხვევაში, ეს უტყუარი მტკიცებულება იქნებოდა. ძიების პარალელურად, ქვეყანაში სიტუაცია დღითი დღე იძაბებოდა და სხვადასხვა ლოკაციაზე აქციის გასაკონტროლებლად სამართალდამცავები რომ არ ჰყოფნიდათ, გამომძიებლებიც კი გაჰყავდათ ქუჩაში. ამიტომ, მაშინ ბევრი საქმე დაპაუზდა და თუ გახსოვთ, ოპოზიციის ლიდერები იმასაც ყვიროდნენ აქციებზე, სამართალდამცავები არ მუშაობენ, საქმეები არ იხსნებაო. ერთი თვის შემდეგ, გაუპატიურების საქმეც თაროზე შემოდეს, სამხილი და ეჭვმიტანილი არ იყო, მაგრამ... განყოფილებაში ორსული ქალი მივიდა და ტირილით თქვა, რომ გააუპატიურეს, ძალადობის ადგილად კი... ის მიტოვებული ქარხნის ტერიტორია დაასახელა. ისტორია ამ შემთხვევაშიც იდენტური იყო, ქალი შინ ბრუნდებოდა, როცა უკნიდან მამაკაცი მიეპარა და შესამჩნევად წამოზრდილ მუცელზე დანა მიადო. ქალმა ტირილით სთხოვა, გამიშვი, ხომ ხედავ, ორსულად ვარო, მაგრამ მოძალადე „დაპირდა“, რომ თუ ქალი წინააღმდეგობას არ გაუწევდა, ძალიან ფრთხილად იქნებოდა... ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია იმიტომ, რომ მამაკაცს დანა არ მოუცილებია მუცლიდან და ერთხელ უჩხვლიტა კიდეც. ნაჩხვლეტ ადგილზე სისხლი იყო მიმხმარი. ეს უკვე სერიულ მოძალადეს ჰგავდა, ამიტომ დამნაშავე აუცილებლად უნდა დაეკავებინათ და უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ხდებოდა პოლიტიკაში, აღნიშნული საქმისთვის გამომძიებელი და სამი ოპერმუშაკი გამოათავისუფლეს.

სამხილები ისევ არ იყო, ვერც ისეთი ვინმე ნახეს, მოწმედ რომ გამოდგებოდა და გადაწყდა, მოძალადე პროვოკაციაზე წამოეგოთ. მინისტრის აპარატთან შეთანხმების შემდეგ, დანგრეული ქარხნის ტერიტორიაზე, საღამოობით, გამომწვევად ჩაცმულმა გოგონებმა დაიწყეს სიარული. მათ სამი ოპერმუშაკი ადევნებდა თვალ-ყურს და საკმარისი იყო, მოძალადე მიახლოვებოდა და შეხებოდა, მას მაშინვე დააკავებდნენ, თუმცა ერთი თვის მანძილზე, გოგონებმაც ამაოდ იარეს და ოპერმუშაკებმაც. იმის მიუხედავად, რომ მეორე დანაშაული ძალიან მძიმედ აღსაქმელი იყო, საქმის გახსნა ვერ ხერხდებოდა და თან ქვეყანაში რევოლუციურმა სიომ დაუბერა, ბევრი იმას ფიქრობდა, როგორმე, საკმარისზე მეტად მოძლიერებული ოპოზიციის ლიდერებთან მისასვლელი გზები ეპოვნა, დანარჩენები ადრე ჩაფარცხული, ძველი საქმების მოგვარება-გაკეთილშობილებით იყვნენ დაკავებულნი და... გაუპატიურებული ორსულიც მალე მიივიწყეს.

„ვარდების რევოლუცია“ რამდენიმე დღის მომხდარი იყო, როცა განყოფილებაში ახალგაზრდა გოგონა მივიდა და განაცხადა, რომ მისი გაუპატიურება სცადეს, მაგრამ იგი მსხვერპლს გაექცა. როგორც აღნიშნა, დანგრეული ქარხნის მიმდებარედ, ვიღაც მამაკაცმა ცხვირ-პირზე ხელი ააფარა და შენობისკენ წაათრია, თუმცა არმატურას წამოედო და დაეცა, დაცემის დროს, გოგონას ხელი გაუშვა და მან გაქცევა მოახერხა. იმის მიუხედავად, რომ გამოძიებაც და დაზარალებულებიც პანიკის თავიდან ასაცილებლად მომხდარს მალავდნენ, მოსახლეობამ იცოდა, რაც ხდებოდა და იმ ადგილს ერიდებოდნენ, თუმცა ყველა არა, რადგან ბევრს, „ყველაფერი“ ეს, ოპოზიციის მიერ მოგონილი ჭორი ეგონა. დაზარალებულის მონაყოლში გამომძიებლებისთვის ახალი არაფერი იყო, გარდა ერთისა – გაუპატიურებას გადარჩენილი გოგო ამტკიცებდა, იმ კაცს ხელზე და ზოგადად სხეულზე, სპეციფიკური სუნი ჰქონდა და თუ ოდესმე ეს მამაკაცი შეხვდებოდა, აუცილებლად სუნით იცნობდა. გამომძიებლებმა პიველი ორი დაზარალებული ახლიდან დაკითხეს, თუმცა მათ სუნი არ უგრძვნიათ და ისიც კი აღნიშნეს, შეიძლება, რაღაც სუნი ჰქონდა, მაგრამ შიშით ვერ მივხვდით, ან ყურადღება არ მივაქციეთო. გოგონა კი არ ცხრებოდა, მე განსაკუთრებული ყნოსვა მაქვს, თქვენ სუნს გრძნობთ, მე კი სუნის ხმა მესმის და ამიტომ, აუცილებლად ვიპოვიო. მოკლედ რომ ვთქვათ, დაზარალებულს ჩვენება ჩამოართვეს და შინ გაუშვეს,

რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით სამართალდამცავ ორგანოებში, ძალიან ბევრი ახალგაზრდა, გამოუცდელი კადრი მივიდა. ძველი თანამშრომლები, ერთი-მეორის მიყოლებით, სამსახურებიდან გაყარეს და რაც მთავარია, ამას აკეთებდნენ მექრთამეობის სახელით, აქაოდა, შევარდნაძისდროინდელი ყველა ძალოვანი კორუმპირებულიაო, რაც, რა თქმა უნდა, სიმართლე არ იყო, მაგრამ მაშინ სიმართლეს ნაკლებად ეძებდა ვინმე – გამარჯვებულებს არ ასამართლებდნენ და გამარჯვებული პარტია უსასტიკესად უსწორდებოდა ყველას, ვინც მის მხარეს არ იყო. ძველი საქმეების გადაბარებამ საერთოდ კომიკური სახე მიიღო, თუ საქმე საინტერესო და გახმაურებული არ გახლდათ, უბრალოდ, აარქივებდნენ და ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სანაგვეში ისროდნენ, შემდეგ კი, თუ რომელიმე ძველ სამართალდამცავს რამე პრეტენზია გაუჩნდებოდა და დაბრუნებას სასამართლოს გზით შეეცდებოდა, სწორედ იმ გაუხსნელ საქმეებს გაუხსენებდნენ, აქაოდა, უპასუხისმგებლოდ იქცეოდით, საქმეებს არ ხსნიდითო. ათი ათასობით ადამიანს პირობითი სასჯელი ხვდა წილად, ათასობით დაიჭირეს და მეთელი ერი კრიმინალებად გამოცხადეს. ტერორი ნელ-ნელა ძლიერდებოდა და საბოლოოდ მიიღო ის სახე, როგორიც მიიღო – მეგობრებსა და ნათესავებს ვინ ჩივის, ტელეფონით საუბარს ერთმანეთშიც კი ყველა ერიდებოდა, რადგან ეჭვი ჰქონდათ, რომ უსმენდნენ და უსმენდნენ ყველას, ატერორებდნენ ყველას, პოლიციას მიეცა ყველაფრის უფლება და ამიტომაც იმატა ქუჩაში დახვრეტილი ახალგაზრდების ოდენობამ. აღნიშნული საქმეც არქივში იყო მოსროლილი და ალბათ, არც არავინ გაიხსენებდა, რომ არა ბოლო დაზარალებული გოგონა – ის განყოფილებაში მივიდა და ამაყად თქვა – მოძალადე ვიპოვე, ვიცი, ვინც არის და სადაც ცხოვრობსო.

ორი დღე დასჭირდა დაარქივებული საქმის მოძიებას, საბუთების ნახვას და იმის გარკვევას, რომ ერთადერთი (მაგრამ ძალიან მყარი) სამხილი მოძალადის სპერმა იყო. მესამე მსხვერპლი, რომელიც მოძალადეს გაექცა, ამტკიცებდა, ის სუნით ვიპოვე, ავტობუსში მეცა ზუსტად ის სუნი და როგორც დაგპირდით, ვიცანიო. ახლებს ამ ყველაფრის ნაკლებად სჯეროდათ, თუმცა არც თვალთვალი დაუწყიათ, არც რამეს კვლევა-ძიება, უბრალოდ, გოგონას მიერ მითითებული მამაკაცი პირდაპირ სახლიდან აიყვანეს, გზაში კარგადაც წაუთაქეს და შემდეგ შესაბამისი ანალიზები აუღეს. ანალიზის პასუხები 100%-ით დაემთხვა ანუ მოძალადე მართლაც დაკავებული იყო. ეს ნამდვილი შოკი აღმოჩნდა ყველასთვის, რადგან მას ცოლი და ორი შვილი ჰყავდა, წესიერი კაცის სახელი ჰქონდა და სასამართლომდე, თითქმის არავის სჯეროდა, რომ დამნაშავე სწორედ ის იყო. სასამართლოზე კი...

„პატიებას ვთხოვ დაზარალებულებს, მაგრამ ისინი ჩემთვის მაინც უცხოები არიან. უფრო მეტ პატიებას ოჯახის წევრებს ვთხოვ. სიმართლე გითხრათ, არ მიფიქრია, რომ დანაშაულს ჩავდიოდი, რადგან მეჩვენებოდა, რომ ისინი, თითქოს, წინააღმდეგნი არ იყვნენ. შეიძლება, ახლა მეჩვენება, მაგრამ მაშინ ამაში დარწმუნებული ვიყავი. მოკლედ, ბოდიში ოჯახის წევრებს, დანარჩენებთან საბოდიშო, ალბათ, არც მაქვს“, -განაცხადა დაკავებულმა სასამართლოზე.

მოსამართლემ სამი ეპიზოდი შეუკრიბა და დაკავებულს 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

## იმერეთის პოლიციამ არასრულწლოვანზე განხორციელებული იძულების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1961 წელს დაბადებული ტ.მ. დააკავეს. მას ბრალად არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება ედება.

დანაშაული 9-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სკოლის მიკროავტობუსის მძღოლმა ტ.მ.-მ, მგზავრობის დროს, არასრულწლოვან გოგონას სექსუალური ხასიათის მატარებელი საუბარი დაუწყო და მისი ნების საწინააღმდეგოდ, სხეულზე შეეხო.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირი, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

## შინაგან საქმეთა სამინისტროში ისრაელის ეროვნული პოლიციის დელეგაციის ვიზიტი დასრულდა

საქართველოში ისრაელის ეროვნული პოლიციის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი დასრულდა.

ვიზიტის ფარგლებში, ისრაელის ეროვნული პოლიციის კომისრის, იაკოვ შაბთაის ხელმძღვანელობით, დელეგაციის წევრები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფს ეწვივნენ.

ისრაელის დელეგაციის წევრებმა მოინახულეს შსს პოლიციის აკადემია, დაათვალიერეს აკადემიის ბაზა და სიმულაციურ სწავლებას დაესწრნენ.

სტუმრები, ასევე, ეწვივნენ სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრს და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს.

დანაყოფებში სტუმრობისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ისრაელის დელეგაციის წევრებს ადგილზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მუშაობის სპეციფიკის შესახებ.

მხარეებმა სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობები განიხილეს.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ისრაელის ეროვნული პოლიციის კომისარმა, დელეგაციის წევრებთან ერთად პირველი შეხვედრა, შინაგან საქმეთა მინისტრთან გამართა.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძიმრის განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შიდა ქართლში, ქარელის მუნიციპალიტეტში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, რამაც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი იმსხვერპლა.

1993 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი გ.ლ. დიდი სიჩქარით მოძრაობდა ქარელის მუნიციპალიტეტში და საავტომობილო გზის გვერდულზე მდგომ საპატრულო პოლიციის ეკიპაჟს დაეჯახა, რის შედეგადაც, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ ავტომანქანაში მსხდომი საპატრულო პოლიციის თანამშრომლები: 1972 წელს დაბადებული, პოლიციის მაიორი ომარ ქარელი და 1992 წელს დაბადებული, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ვანო ბასანიძე.

სამართალდამცველებმა გ.ლ. დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-9 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის 55 პირი დააკავა, მათ შორის, 37 ნარკორეალიზატორია

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, თეიმურაზ კუპატაძის ბრიფინგი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის, აჭარის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და კახეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 55 პირი დააკავეს, მათ შორის, 37 ნარკორეალიზატორია.

ნარკოტიკების უკანონო გასაღებისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1982 წელს დაბადებული გ.ლ., 1977 წელს დაბადებული ლ.ხ., 1989 წელს დაბადებული ვ.ბ., 1999 წელს დაბადებული რ.მ., 1974 წელს დაბადებული ვ.რ., 1975 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ჯ.ა., 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თ.ა., 1967 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.მ., 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.ხ., 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.ო., 1988 წელს დაბადებული ნ.ვ., 1996 წელს დაბადებული გ.ე., 1979 წელს დაბადებული გ.მ., 1997 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ფ.ფ., 1980 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.ვ., 1955 წელს დაბადებული ნ.ჯ., 1968 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.გ., 1976 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ქ.მ., 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ბ., 1994 წელს დაბადებული ლ.ჩ., 2000 წელს დაბადებული ვ.ლ., 1977 წელს დაბადებული ლ.შ., 2002 წელს დაბადებული თ.მ., 1988 წელს დაბადებული ი.ფ., 2001 წელს დაბადებული ლ.ჯ., 1997 წელს დაბადებული დ.ჩ., 1997 წელს დაბადებული მ.ა., 1996 წელს დაბადებული გ.წ., 1991 წელს დაბადებული ს.ბ., 1972 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი, ა.ფ., 1958 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ჯ., 1995 წელს დაბადებული ა.ც., 1984 წელს დაბადებული გ.კ., 1990 წელს დაბადებული ე.პ., უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1993 წელს დაბადებული ე.ო., 2003 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ვ., 2000 წელს დაბადებული რ.ა.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვის, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირების ბრალდებით დაკავებულები არიან: 1989 წელს დაბადებული მ.ნ., 2002 წელს დაბადებული ს.ტ., 2004 წელს დაბადებული ა.ა., 1985 წელს დაბადებული ბ.ს., 1980 წელს დაბადებული ზ.ს., 1970 წელს დაბადებული მ.ნ., 1974 წელს დაბადებული ვ.მ., 2002 წელს დაბადებული ი.შ., 1980 წელს დაბადებული მ.ა., 1980 წელს დაბადებული ო.ე., 1991 წელს დაბადებული მ.გ., 1990 წელს დაბადებული ბ.დ., 2000 წელს დაბადებული თ.ყ., 1986 წელს დაბადებული ა.ა., 1982 წელს დაბადებული რ.მ., 1974 წელს დაბადებული ლ.მ., 1983 წელს დაბადებული გ.ჩ., 1988 წელს დაბადებული, უ.ი.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნარკოტიკული საშუალების გასაღებისა და გასაღების მცდელობისთვის დაკავებული პირები ნარკოტიკული საშუალებების გასაღების სქემებში იყვნენ ჩართულნი, კერძოდ, სხვადასხვა ინტერნეტაპლიკაციისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, შემდგომში რეალიზაციის მიზნით, კონკრეტულ ლოკაციებზე ათავსებდნენ ნარკოტიკულ საშუალებას, რასაც შემდგომ, შესაბამისი აღნიშვნებითა და კოორდინატებით უგზავნიდნენ ნარკოტიკული საშუალების შეძენით დაინტერესებულ პირებს.

სამართალდამცველებმა ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციამ ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, მათ მიერ მითითებული ადგილებიდან, ასევე, პირადი, ავტომანქანებისა და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები: „კოკაინი“, „ჰეროინი“, „სუბუტექსი“, „ჰაშიში”, „მდმა“, „ალფა-პვპ“, „სუბოქსინი», ე.წ. სინთეტიკური ნარკოტიკი „მეტამფეტამინი“, „მეტადონი“, „ტრამადოლი“, „მეფედრონი“, „ამფეტამინი“, „მარიხუანა“ და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე – კანაფი. ასევე, ამოღებულია მცირე ზომის ელექტროსასწორები, მარიხუანას კულტივაციისთვის განკუთვნილი შესაბამისი მოწყობილობა, წებოვანი ლენტები და სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული. ნარკოდანაშაულისთვის დაკავებული ერთ-ერთი პირისგან ასევე ამოღებულია ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 26 ვაზნა და 2 მჭიდი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 19-260-ე, 262-ე, 265-ე, 273 პრიმა, 19-273-ე პრიმა, 18-273-ე პრიმა და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

# ხვიჩა „ოქროს ბურთის“ პრეტენდენტებს შორის და...




ევროპის მასშტაბით, საფეხბურთო ჩემპიონატები სამ-ოთხ კვირაში დასრულდება. „ნაპოლის“ თავი ქუდში აქვს, ოქროს მედლები გაინაღდა და ახლა, კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი იმას ცდილობს, როგორმე, ნაკლები ზარალით შეხვდეს ახალ სეზონს. ყველა ხვდება, რომ ნეაპოლელებს ამ შემადგენლობის შენარჩუნება გაუჭირდებათ და გუნდის ლიდერებს აუცილებლად იყიდიან. ჩვენ, რა თქმა უნდა, ხვიჩა კვარაცხელიას მომავალი გვაინტერესებს და იმის მიუხედავად, რომ დე ლაურენტისი ირწმუნება, ქართველს არ გავყიდიო, შესაბამისი შეთავაზების შემთხვევაში, ტრანსფერი აუცილებლად შედგება. „ნაპოლის“ სამწუხაროდ, საუბარი მხოლოდ ფეხბურთელებზე არ არის – სეზონის ბოლოს, გუნდს სპორტული დირექტორი კრისტიანო ჯენტოლიც დატოვებს და იგივე პოსტს „იუვენტუსში“ ჩაიბარებს. ჯენტოლის სახელს „ნაპოლიში“ კვარაცხელიას, ოსიმენისა და კიმ მინ ჯეს მიყვანა უკავშირდება და სამივე ფეხბურთელმა აშკარად გაამართლა. ჰოდა, თუ ჯენტოლი „ბებერ სინიორაში“ მართლაც გადაბარგდება, თან სწორედ სამხრეთ კორეელ მცველს გაიყოლებს, მისი გამოსასყიდი თანხის – 50 მილიონის გადახდა „იუვენტუსს“ არ გაუჭირდება.

ამას გარდა, ფრანგული გამოცემა „ფრანს ფუტბოლი“ წერს, რომ 2023 წლის „ოქროს ბურთის“ მაძიებელთა შორის, კვარაცხელია აუცილებლად იქნება და მართალია, ქართველს მისი მოპოვების მცირე შანსი ექნება, მაგრამ ევროპაში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ, პრეტენდენტთა შორის მოხვედრაც დიდი აღიარება და პატივია. მოგეხსენებათ, „ოქროს ბურთი“, სწორედ „ფრანს ფუტბოლის“ დაწესებულია და გამოცემას აშკარად დაეჯერება.

და ერთიც, ESPN წერს, რომ სეზონის ბოლის, კვარაცხელია ფრანგული „პარი სენ ჟერმენის“ მთავარი სამიზნე იქნება და არ არსებობს თანხა, რომელსაც კლუბის მფლობელი არაბი შეიხები ვერ გადაიხდიან.

# სეზონში მეორედ – მამარდაშვილი საუკეთესოა

ესპანური პრიმერა დივიზიონის 34-ე ტურის საუკეთესო მეკარედ გიორგი მამარდაშვილი დაასახელეს. მისმა გუნდმა ვიგოში, „სელტასთან“, მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და გიორგის წვლილი ამ საქმეში უდიდესია. გარდა იმისა, რომ ქართველმა კიპერმა შეხვედრაში კარისკენ მიმავალი 5 ბურთი მოიგერია, „ვალენსიამ“ პირველი გოლი მას შემდეგ გაიტანა, რაც მამარდაშვილმა გრძელი და ზუსტი პასი გააკეთა დიეგო ლოპესის მისამართით, მან კი ჯასტინ კლუივერტს საგოლედ ჩააწოდა.

რაც შეეხება „სეივებს“, მიმდინარე სეზონში, გიორგის 93 მოგერიებული ბურთი მოუგროვდა, რაც ესპანეთის 20-გუნდიან ჩემპიონატში მეხუთე შედეგია. შეგახსენებთ, რომ ესპანური მედია აქტიურად წერს სეზონის ბოლოს, მამარდაშვილის გუნდიდან წასვლის შესაძლებლობაზე. 22 წლის ქართველის გაყიდვა „ვალენსიას“ ვალების გასასტუმრებლად სჭირდება.

# „მრცხვენია და მივდივარ“ – ტოჩინოშინი კარიერას ასრულებს

იაპონიაში ნაცუ ბაშო მიმდინარეობს და სუმოისტთა შორის, ჩვენებური ლევან გორგაძე, იგივე, ტოჩინოშინიცაა. ქრონიკული ტრავმისა და ასაკის გათვალისწინებით (ლევანი 35 წლისაა), ტოჩი ძველებურად ვეღარ ასპარეზობს და აგერ, საწყის ხუთ შეხვედრაში, ხუთი მარცხი განიცადა. ლევანმა არ დამალა, რომ მისი ბოლოდროინდელი გამოსვლა ისეთი არაა, როგორიც მას სურს და რცხვენია, როდესაც ქომაგის წინაშე ასე გამოდის. მან კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო და უდიდესი ალბათობით, მიმდინარე ბაშოს დასრულების შემდეგ, თმის შეჭრის საზეიმო ცერემონიალსაც გამართავს – სუმოდან წასვლის შემდეგ, სუმოისტები კიკინას იჭრიან.

მიუხედავად ბოლოდროინდელი წარუმატებლობისა, ტოჩინოშინი ერთადერთი ქართველი სუმოისტია, რომელმაც ოძეკის წოდებამდე მიაღწია და ასევე, ერთადერთია, რომელმაც იმპერატორის თასის მოგება შეძლო.

# ფიფამ 2026 წლის ლოგო წარადგინა

ისტორიაში პირველად, 2026 წელს, ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატს სამი ქვეყანა უმასპინძლებს და ასევე პირველად, 32-ის ნაცვლად, მასში მონაწილეობას 48 ნაკრები მიიღებს. მატჩები მექსიკაში, ამერიკასა და კანადაში გაიმართება, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ფიფამ მუნდიალის ლოგო ლოს-ანჯელესში წარადგინა და რა თქმა უნდა, წარდგენაზე იმყოფებოდა ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტინო.

რაც შეეხება ლოგოს, სიმართლე გითხრათ, გვეგონა, რომ ფიფაში ბევრად კრეატიულები იქნებოდნენ და რამე განსხვავებულს შემოგვთავაზებდნენ. ის, რაც ვიხილეთ, ძალიან მარტივი და პრიმიტიულია, თან ეს ის შემთხვევაა, როცა ფრაზა „ყველაფერი გენიალური მარტივია“, აშკარად არ გამოგვადგება.

# ქეცბაიას მაცდური წინადადება აქვს

ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც თემურ ქეცბაია კვიპროსის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი, მას 2026 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლომდე აქვს გაფორმებული, ანუ შესაძლებლობა და დრო ექნება, საკუთარ თარგზე მოჭრას. სხვათა შორის, ევროპის შესარჩევში, კვიპროსი ჩვენი მეტოქეა...

კონტრაქტის ვადის გათვალისწინებით, ქეცბაიას მიმართ ინტერესი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა კვიპროსული მედია ჯიუტად წერს, ძალიან დიდია იმის შანსი, ქეცბაიამ სანაკრებო სამუშაოს თავი დაანებოს და კვლავ კლუბს დაუბრუნდესო. მისი გადაბირება კვიპროსულ „პაფოსს“ სურს, რომელიც ამბიციური რუსი ბიზნესმენების ხელშია და მათ არა მარტო ის უნდათ, რომ გუნდი ქვეყნის ჩემპიონი, ან თასის მფლობელი გახდეს, არამედ, გარკვეულ წარმატებას ევროსარბიელზეც მიაღწიოს.

**„ჩვენი ინფორმაციით, „პაფოსის“ წარმომადგენლები ქეცბაიას უკვე ესაუბრნენ და მას წლიურ ჯამაგირად 300 ათასი ევრო და ბონუსები შესთავაზეს. თუ კლუბი კვიპროსის ჩემპიონი გახდება, ან თასს მოიგებს, ხელფასზე ქართველ სპეციალისტს სოლიდური დანამატი გამოუვა. გარდა ამისა, თუ ქეცბაია ფედერაციასთან კონტრაქტს ცალმხრივად, ვადაზე ადრე გაწყვეტს, მაშინ ჯარიმის თანხის გადახდაც „პაფოსის“ შეფებს მოუწევთ“,** – წერს კვიპროსული მედია.

ვერ გეტყვით, რას გადაწყვეტს ქართველი სპეციალისტი, თუმცა კვიპროსული გამოცემების უმრავლესობის მტკიცებით, კლუბის მფლობელები არაერთი ათეული მილიონი დოლარის დახარჯვას აპირებენ და მათი გეგმების განხორციელებაში, ქეცბაიას ერთ-ერთ მთავარ „კოზირად“ მოიაზრებენო.

# ნადალი კარიერას 2024-ში დაასრულებს

ჩოგბურთის ლეგენდა, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი, რაფაელ ნადალი კარიერას 2024 წელს დაასრულებს. ამის შესახებ, მან პრესკონფერენციაზე განაცხადა და ისიც დაამატა, რომ ტრავმის გამო, წელს, „რონალ გაროსსა“ და „უიმბლდონზე“ მონაწილეობას ვერ მიიღებს. არადა, ბოლო წლებში, „როლან გაროსი“ ნადალის ტურნირადაა მონათლული (რაფა მოქმედი გამარჯვებულია) და მისი მოგება ესპანელმა, ყველაზე მეტჯერ – 14-ჯერ მოახერხა. ამას გარდა, მან „უიმბლდონსა“ და „ავსტრალიის ღია პირველობაზე“ ორ-ორჯერ იმარჯვა, ხოლო „ამერიკის ღია პირველობა“ ოთხჯერ მოიგო, 2008 წელს, ოლიმპიადაზე ერთეულთა თანრიგში იპირველა, 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე კი, წყვილთა შორის მოიპოვა ოქროს მედალი.

**„სამწუხაროდ, პატარა აღარ ვარ, 3 ივნისს, 37 წლის ვხდები და ვიცი, რომ ტრავმები და სხეული ბევრის გაკეთების შესაძლებლობას აღარ მომცემს. ზუსტად ვიცი, ჩემს კარიერაში, 2024 წელი ბოლო იქნება“,** – განაცხადა ნადალმა.

ცნობისთვის, რაფას მამის ძმა, სერხი ნადალი „ბარსელონას“ ფეხბურთელი იყო და დიდი სურვილი ჰქონდა, მისი ძმის შვილიც ფეხბურთელი გამოსულიყო, მაგრამ ნადალმა ხმამაღლა გამოაცხადა, რომ ის „რეალის“ ქომაგი იყო და თუ ოდესმე ფეხბურთს ითამაშებდა, აუცილებლად „სამეფო გუნდის“ მაისურს ჩაიცვამდა. ბიძამაც, მისი ოჯახის წევრი „ბარსას“ მოსისხლე „რეალში“ რომ არ წასულიყო, პატარა რაფა ფეხბურთზე საერთოდ არ მიიყვანა და აქტიური ბავშვი ჩოგბურთის სექციაში ჩაწერა... დანარჩენი უკვე ისტორიაა...

# გვარდიოლამ ისტორია გადაწერა

ჩემპიონთა ლიგის 2023 წლის ფინალში, ერთმანეთს „მანჩესტერ სიტი“ და „ინტერი“ დაუპირისპირდებიან. ინგლისური კლუბი უპირობო ფავორიტად ითვლება, რადგან ხოსეპ გვარდიოლას მიერ მოქოქილი გუნდი, ძალიან გამართულ ფეხბურთს თამაშობს და მისი შემჩერებელი არავინ ჩანს. თავად განსაჯეთ, ბოლო 23 შეხვედრიდან, მანჩესტერელებმა 19 მოიგეს და 4 ფრედ დაასრულეს ანუ წაგების გემო არ იციან. არადა, ნახევარფინალში, „სიტის“ მეტოქე „რეალი“ იყო – გუნდი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგა ყველაზე მეტჯერ აქვს მოგებული, მაგრამ მადრიდში ნათამაშები 1:1-ის შემდეგ, ინგლისურმა კლუბმა მეტოქეს გადაურბინა და საკუთარ კედლებში 4:0 მოუგო. ეს არ არის მხოლოდ ანგარიში, რადგან...

„რეალმა“ ჩემპიონთა ლიგაზე 0:4 მეორედ წააგო, პირველად, ეს ფაქტი 2009 წელს, „ლივერპულთან“ შეხვედრაში დაფიქსირდა. ნახევარფინალში მადრიდელებს ოთხბურთიანი სხვაობით არასდროს წაუგიათ.

გვარდიოლა ისტორიაში პირველი მწვრთნელია, რომელმაც „რეალი“ ლიგიდან სამჯერ გამოაგდო – ერთხელ, „ბარსელონას“ მწვრთნელის რანგში, 2011 წელს, მეორედ – 2020 წელს, იმავე „მანჩესტერ სიტის“ მესაჭის პოსტზე და მესამედ – ახლა. გვარდიოლას ჩემპიონთა ლიგაზე მეასე გამარჯვება დაუგროვდა და ამ შედეგით, ის მხოლოდ კარლო ანჩელოტის (107 მოგება) და ალექს ფერგიუსონს (102 მოგება) ჩამორჩება, თუმცა პაპა კარლოს, 107 შეხვედრის მოსაგებად 180 მატჩი დასჭირდა, სერ ალექსს 102 გამარჯვებისთვის – 184, გვარდიოლამ კი 100 მატჩი 160-დან მოიგო. სხვათა შორის, ანჩელოტიმ გვარდიოლას წინააღმდეგ გამართული ბოლო რვა შეხვედრიდან ექვსი წააგო.

და ერთიც – გვარდიოლა კარიერაში ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ფინალს ითამაშებს – მან „ბარსელონასთან“ ერთად, ორჯერ მოიგო ლიგა, „მანჩესტერ სიტისთან“ ერთად კი წააგო და ახლა მეორე მცდელობა ექნება.

# სრული სიგიჟე – მესის სეზონში 500 მილიონს სთავაზობენ

დღევანდელი რეალობა ასეთია – მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ გახლავთ, რომელიც არაბულ „ალ ნასრში“ თამაშობს და ჯამაგირის სახით, გადასახადების გადახდის შემდეგ, წლიურად 173 მილიონი ევრო რჩება. მთლიანად, პორტუგალიელის ხელფასი 200 მილიონია, თუმცა 27 მილიონი გადასახადებში მიდის.

ჰოდა, „ალ ნასრის“ კონკურენტის, „ალ ჰილალის“ მფლობელებმა გადაწყვიტეს, ლიონელ მესი გადაიბირონ. არგენტინელს „პარ სენ ჟერმენთან“ მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება და მის გაგრძელებას აღარ აპირებს. იყო საუბარი, რომ ლეოს კვლავ „ბარსელონაში“ სურდა დაბრუნება, მაგრამ სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ძალიან, ძალიან კარგად უნდა დაფიქრდეს. საქმე ის გახლავთ, რომ „ალ ჰილალი“ მზადაა, მესის წლიურად 500 მილიონი ევრო ანუ ნახევარი მილიარდი გადაუხადოს და რაც მთავარია, მასთან კონტრაქტი 2+1 წლის სისტემით გააფორმოს ანუ ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ორ წელიწადში, ლეო მილიარდს მიიღებს. სეზონის ბოლომდე არც ისე ბევრია დარჩენილი და მალე გავიგებთ, ეს სიგიჟე რეალობასთან რამდენად ახლოსაა. საჭირო მხოლოდ მესის თანხმობაა.

# „დღეს რომ მომღერალი ვარ, პატრიარქის დიდი წვლილია“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

## საქართველოს ხმა ევროპაში – გაიცანით საოპერო მომღერალი, ტენორი დავით სუმბაძე

**26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობს ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი, ტენორი, საფრანგეთში მოღვაწე დავით სუმბაძეც. ის წარმოშობით თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნიდანაა... დავით სუმბაძე ჯერ თელავის, შემდეგ კი თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა, რის შემდეგაც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩააბარა. ახლა უკვე წარმატებულ საოპერო მომღერალს, სტუდენტობის პერიოდში უსახსრობის გამო, ბევრი სირთულე შეხვდა, მაგრამ დავითმა ყველაფერი გააკეთა, რათა სწავლა დაესრულებინა. მომღერლის თქმით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ილია II-სთან ურთიერთობა და საპატრიარქოში ცხოვრების ათწლიანი პერიოდი საოცრად დაეხმარა ცხოვრებისეულ სიძნელეებთან გამკლავებაში. 2008 წელს, კონსერვატორიის დამთავრებისთანავე, თბილისის ოპერის თეატრში ჰქონდა წარმატებული დებიუტი, სადაც მალხაზის პარტია შეასრულა ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში „დაისი“. 2010-2011 წლებში, ორწლიანი სტაჟირება გაიარა ოდესის ოპერის თეატრში, ამის შემდეგ, წარმატებით მოღვაწეობს საფრანგეთში. ის ბორდოს თეატრის ბევრ სპექტაკლში მონაწილეობს და საკმაოდ ხშირად მართავს სოლო კონცერტებსაც. ჩაწერა ორი ალბომი, სადაც შესულია იტალიური, ფრანგული, რუსული და ქართული სიმღერები... 2015-2016 წლებში, რობერტ მასადის საერთაშორისო საოპერო კონკურსის ლაურეატი გახდა. დავით სუმბაძეს ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი – ილია და მარიამი.**

**„ვერსია“ დავით სუმბაძესთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ:**

**– ბატონო დავით, გვიამბეთ თქვენი ბავშვობის შესახებ. საიდან დაიწყო წარმატება, როდის აღამოაჩინეთ საკუთარი ნიჭი?**

– დაბადებიდან ვმღერი და ის, რომ მომღერალი უნდა გავმხდარიყავი, ჩემმა მშობლებმა იცოდნენ ჩემს დაბადებამდე, მორწმუნე ქალის წინასწარმეტყველებით, რომელმაც მათ აუწყა 1980 წლის 21 სექტემბერს, მარიამობის დღეს, შუამთის მონასტერში, რომ მე უნდა დავბადებულიყავი ერთ წელში და დავიბადე 1981 წლის 21 სექტემბრამდე სამი დღით ადრე – 18 სექტემბერს. დედა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ასეთი ცხოვრებით უნდა მეცხოვრა ანუ გავმხდარიყავი მომღერალი.

**– როგორ გაიცანით საქართველოს პატრიარქი ილია მეორე და რა როლი შეასრულა მან თქვენს წარმატებაში?**

– პატრიარქთან მოვხვდი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, რომელმაც გამომიწოდა დახმარების ხელი და წლების განმავლობაში, მამობრივად ზრუნავდა ჩემზე. ის იყო ყველაზე ახლო მეგობარი და ამისთვის უსაზღვროდ მადლიერი ვარ.

ცხადია, მე რომ დღეს მომღერალი ვარ, მისი დიდი წვლილია და მინდა, ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და მრავალჟამიერი.

**– საკმაოდ რთული გზა განვლეთ წარმატებამდე... რას ურჩევთ ახალგაზრდებს – როგორ შეძლონ სირთულეების გადალახვა წარმატებისკენ მიმავალ გზაზე?**

– თუ გაქვს ხმა, მუსიკალური სმენა და მონდომება, ეს ნიშნავს, რომ გაქვს უფლება, დაიწყო არანორმალური შრომა საკუთარ თავზე, რათა აღმოფხვრა ყველა ის ტექნიკური პრობლემა, რაც არსებობს შენში. ვგულისხმობ ვოკალურ პრობლემებს და ცხადია, ყველა დანარჩენ მატერიალურ პრობლემასაც, რაც შეიძლება არსებობდეს შენს ირგვლივ და რამაც შეიძლება, შეგიშალოს ხელი წარმატებისკენ მიმავალ გზაზე.

**– თქვენ ეს პრობლემები გადალახეთ და ახლა საფრანგეთში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კონკურსში – „Voice“, გამარჯვების კანდიდატი ხართ. გვიამბეთ საფრანგეთში თქვენი მოღვაწეობის შესახებ...**

– 2013 წლის დასაწყისში გავემგზავრე საფრანგეთში და დაახლოებით, ორი წელი მოვანდომე, რომ გამეკეთებინა საბუთები. ბორდოს დიდ თეატრში მქონდა კონტრაქტები, რამაც მომცა ძალიან დიდი ბიძგი, რათა საფრანგეთის ბინადრობის უფლება მომეპოვებინა.

**– ბორდოს თეატრში დღემდე მოღვაწეობთ?**

– ზოგადად, ევროპულ თეატრებს არ აქვთ ქართული თეატრის მსგავსი ტრადიცია – არ არსებობს მუდმივი კონტრაქტი სოლისტისთვის. თუ უნდა სოლისტს, რომ თეატრში მუდმივი კონტრაქტით იმუშაოს, უნდა წავიდეს გუნდში. მე ბორდოს ოპერაში ჩემი სოლო-პარტიების შესრულების შემდეგ მქონდა შეთავაზება გუნდიდან და ამას, ბუნებრივია, არ დავთანხმდი, რადგან ეს არ იყო ჩემი საქმე.

დეტალებში თუ ჩავალთ, რითი ვირჩენდი თავს? – ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან რაღაცით ხომ უნდა მერჩინა თავი... ამიტომ, გავხსენი მანქანების ბიზნესი, მყავდნენ მანქანის შემკეთებლები და მე ვაგვარებდი ადმინისტრაციულ საკითხებს... ეს ძალიან დამეხმარა, რადგან ვიყავი თავისუფალი, მქონდა ჩემი პატარა ბიზნესი, რომელიც ჩემს ოჯახს არჩენდა და გავიზარდე შემოქმედებითად... გავიზარდე, როგორც მომღერალი და აღმოვფხვერი ყველა პრობლემა, რომელიც იმ პერიოდში მქონდა.

შემდეგ მრავალ „კასტინგზე“ გავედი. იყო წარმატებული და წარუმატებელი „კასტინგებიც“... ჩემი მოღვაწეობა, ძირითადად, შემოიფარგლება კონცერტებით ევროპაში. საკმაოდ ბევრი ჩანაწერი მაქვს იტალიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, საფრანგეთში...

**– როგორც ვიცი, ალბომებიც გამოუშვით...**

– დიახ, ორი ალბომი გამოვუშვი. პირველში ანდრეა ბოჩელის რეპერტუარია უფრო მეტად. მეორე ორი თვის წინ ჩავწერე, სადაც მიუზიკლიდან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, სამი სიმღერაა შესული... მქონდა უმნიშვნელოვანესი სოლო კონცერტი დეკემბერში. ახლა, ერთი თვის წინ მქონდა კერძო კონცერტი...

ამჟამად, ჩემი აგენტის შეუპოვარი რჩევით, ვმონაწილეობ ფრანგულ „Voice“-ში. ეს კონკურსი უბრალო ადამიანებისთვისაა, მაგრამ აგენტმა მითხრა, მენდეო და მეც მივყევი. გაგზავნა ჩემი კონცერტის ჩანაწერები და ზუსტად ერთ საათში მოგვივიდა დასტური. ამ კონკურსში რეგიონალური წრე გავარღვიე და ველოდები პარიზის ნახევარფინალს, სადაც პირდაპირი მითითება მაქვს, რომ ვარ გამარჯვების კანდიდატი და უნდა ვიმღერო მხოლოდ პოპი და როკ-მუსიკა... გავგზავნე ერთ-ერთი ნამღერი „დაიგვიანეს“ – შეიძლება, ეს შევასრულო პარიზელ ბანებთან ერთად, რომლებიც ჩემი მეგობრები არიან. ველოდები მითითებებს, რომ დაიწყოს მზადება ნახევარფინალისთვის.

**– ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი წარმატება ამ კონკურსში და ზოგადად, თქვენს კარიერაში, რადგან თქვენ, თქვენს კოლეგებთან ერთად, ხართ საქართველოს ხმა ევროპაში და გისურვებთ გამარჯვებას! ეს ჩვენთვის საამაყო იქნება... ბატონო დავით, ახლა სამშობლოში ხართ და 26 მაისს, ფილარმონიაში დაგეგმილ კონცერტშიც ხომ მონაწილეობთ?**

– დიახ, ძალიან დიდი პატივია, ვიყო ჩემს სამშობლოში და ვუმღერო ჩემს საქართველოს. ყველაზე ეროვნული კომპოზიტორი ნუგზარ თუშიშვილი, რომელიც სუმბაძეცაა და ის ბიძაჩემია. მას ორი გვარი აქვს, მაგრამ საზოგადოება იცნობს თუშიშვილად. დიდი პატივია ჩემთვის, რომ მის კონცერტზე, დამოუკიდებლობის დღეს, ვიმღერებ ჩემი ქართველი ერისთვის. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ვარ და ვმღერი ჩემი სამშობლოსთვის.

# ყველაზე ახალგაზრდა მწერალი ოთხი წლისაა

ოთხი წლის ბიჭუნა არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მწერალი გახდა და გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. საიდ რაშიდ ალ-მეჰრიმ ზღაპარი დაწერა, რომელიც გამოქვეყნდა და ათასზე მეტი ეგზემპლარიც გაიყიდა. წიგნის დაწერა, რომელიც სიკეთესა და მეგობრობაზეა, ბიჭს უფროსმა დამ შთააგონა, რომელიც ასევე რეკორდსმენია. გოგონა რვა წლისა გახდა ყველაზე ახალგაზრდა მწერალი, მისი წიგნი ორ ენაზეა გამოქვეყნებული.

# მუზეუმში მნახველებს ტატუს გაუკეთებენ

ამსტერდამში მდებარე რემბრანდტის მუზეუმი ზაფხულში დაიწყებს დამთვალიერებლებისთვის ტატუს გაკეთებას, მასზე ამ ნიდერლანდელი მხატვრის გრავიურების პერსონაჟები იქნებიან გამოსახულნი. დაწესებულებას სურს, ამ აქციით ახალგაზრდა აუდიტორია მიიზიდოს. „ყველა მუზეუმის ამოცანაა, მოიზიდოს მომავალი თაობა“, - აცხადებს რემბრანდტის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

ტატუს ცნობილი ოსტატები, Schiffacher and Veldhoen-ის სტუდიიდან, მუზეუმის მნახველებს ორიგინალურ ტატუებს შესავაზებენ, ღირებულება კი 100-დან 250 ევრომდე იქნება.

# გაჩერებული გული გადაუნერგეს



იტალიელმა მედიკოსებმა, მსოფლიოში პირველებმა, წარმატებით გადანერგეს გული, რომელიც ოპერაციის დაწყებამდე 20 წუთით ადრე გაჩერდა. შემთხვევა პადოვას საუნივერსიტეტო კლინიკაში მოხდა. დონორი მამაკაცი იყო, გულის გაჩერების შემდეგ, მისმა ტვინმაც კვდომა დაიწყო. ადგილობრივი კანონმდებლობით, გულით გარდაცვალების შემთხვევაში, მედიკოსები ვალდებულნი არიან, 20 წუთის განმავლობაში დააკვირდნენ პაციენტის თავის ტვინის აქტიურობას. როცა მამაკაცის თავის ტვინმა სრულად შეწყვიტა მუშაობა, ქირურგებმა ორგანოს ტრანსპლანტაცია დაიწყეს. შედეგად, მათ წარმატებით შეძლეს გაჩერებული გულის გადანერგვა და რეციპიენტი თავს კარგად გრძნობს. ადრე მსგავსი ოპერაცია ავსტრალიაშიც ჩატარდა, თუმცა მაშინ მედიკოსებმა გაჩერებული დონორული გულის „რეანიმირება“ სულ რამდენიმე წუთის შემდეგ მოახერხეს.

# პელეს მავზოლეუმი გაიხსნა

ბრაზილიის ქალაქ სანტოსში პელეს მავზოლეუმი გაიხსნა. მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა და მსოფლიოს ერთადერთი სამგზის ჩემპიონი დაკრძალულია მოოქროვილ კუბოში, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მაღლა მდებარე ნეკროპოლის „ეკუმენიკას“ ტერიტორიაზე მდებარეობს. შენობაში დგას პელეს ნატურალური სიმაღლის ქანდაკება, იატაკი კი დაფარულია ხელოვნური ბალახით, რომელიც ფეხბურთის მოედნის იმიტაციაა. მავზოლეუმში შესვლა და პელესთვის პატივის მიგება ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეუძლია. აღსანიშნავია, რომ დაკრძალვის ადგილი თავად ფეხბურთელმა, ჯერ კიდევ 19 წლის წინ აირჩია. გატანილი გოლების მიხედვით მსოფლიოს რეკორდსმენი პელე, გასულ წელს, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. ცოტა ხნის წინ, ლეგენდარული ბრაზილიელის სახელი - პელე პორტუგალიურ ენაში შეიტანეს, როგორც სიტყვა „განუმეორებლის“ აღმნიშვნელი.

# მუდამ წვიმიანი ქუჩა დუბაიში

გაერთიანებულ საემიროებში მალე გაჩნდება ქუჩა, სადაც ყოველდღე წვიმაში შეგეძლებათ ისეირნოთ. როგორც Khallej Times-ი წერს, უნიკალური ობიექტი ერთკილომეტრიანი იქნება და ის ახლა მშენებლობის პროცესშია. შენობებში ჩამონტაჟებული კლიმატ-კონტროლის სისტემების მეშვეობით, „ციდან“ არა მხოლოდ წვიმის წვეთები, არამედ, თოვლის ფიფქებიც წამოვა. დიზაინერებმა შენობებზე ფრანგულ სტილში მომრგვალებული საჩრდილოებლები დაამაგრეს. აქ ტემპერატურა კონტროლირებადია და 27 გრადუსის ფარგლებში იქნება, ტენიანობა 60% და ქარის სიჩქარე - 5 კმ/სთ-ში. დიზაინერების ჩანაფიქრით, ეს ქუჩა ადგილობრივებს და ქალაქის სტუმრებს ევროპულ ატმოსფეროს შეუქმნის. ამ ქუჩაზე შესვლა საკურორტო სასტუმრო-რესტორნის მეშვეობით იქნება შესაძლებელი. წვიმიანი ამინდით რომ ისიამოვნონ, მსურველებმა მენიუდან რამე უნდა შეუკვეთონ, ან ნომერი დაჯავშნონ.

# ლუდზე მომუშავე მოტოციკლი შექმნა

შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა მამაკაცმა მოტოციკლი შექმნა, რომელიც ქარვისფერ სითხეზე მუშაობს. ამ გამოგონების ავტორი კაი მაიკლსონია. მის „ქმნილებებშია“ ასევე ტუალეტი – რეკეტის ძრავით. მაიკლსონის თქმით, ბენინის ძრავის ნაცვლად, მის მოტოციკლში სპეციალური ავზია, რომელშიც ლუდი 300 გრადუსამდე ცხელდება. ქაფიანი სითხე გადაცხელებულ ორთქლად გადაიქცევა, რომელიც გამოდის და ტრანსპორტს წინ უბიძგებს. ლუდის მოტოციკლს, დაახლოებით, 250კმ/სთ-ის სიჩქარის განვითარება შეუძლია. უახლოეს პერიოდში მაიკლსონი თავის გამოგონებას შეჯიბრზე გაიყვანს, რათა მოტოციკლის შესაძლებლობები წარადგინოს.

# დეპმა რეკორდული კონტრაქტი გააფორმა

59 წლის პოპულარულმა ამერიკელმა მსახიობმა, ჯონი დეპმა ახალი კონტრაქტი გააფორმა ცნობილ ფრანგულ კოსმეტიკურ ბრენდთან – Dior. როგორც Variety-ი წერს, ამ გარიგების ფინანსური ნაწილი ყველაზე ძვირადღირებულია მამაკაცის პარფიუმის რეკლამირების ისტორიაში. ცნობილი გახდა, რომ ახალი კონტრაქტი ჰოლივუდის ვარსკვლავს 20 მილიონ დოლარს მოუტანს, ხელშეკრულება კი სამწლიანია. მედიის ცნობით, ყველაზე ძვირადღირებული, 12-მილიონდოლარიანი კონტრაქტი ადრე ბრენდმა „ბინდის“ ვარსკვლავთან, მსახიობ რობერტ პატინსონთან გააფორმა.

ზოგადად, ფირმები წელიწადში 2-4-მილიონიან ხელშეკრულებებს აფორმებენ. აღსანიშნავია, რომ Dior-მა ჯონი დეპთან თანამშრომლობა 2015 წლიდან დაიწყო, თუმცა მსახიობის ყოფილი ცოლის, ემბერ ჰერდის ბრალდებების შემდეგ, მასთან კონტრაქტი გაწყვიტა.

# სწავლულმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა

სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორმა, 55 წლის ჯოზეფ დიტურმა (Dr. Deepsea), რომელიც კვლევით პროექტში „ნეპტუნი 100“ მონაწილეობდა, წყალქვეშ გატარებული დროის მიხედვით, მსოფლიოს რეკორდი მოხსნა. არსებული მონაცემებით, დღეს ის ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ოკეანის ფსკერზე 74 დღე გაატარა. წინა რეკორდი ამავე ადგილას, 2014 წელს, სხვა მეცნიერმა დაამყარა – მან წყალქვეშ 73 დღე, ორი საათი და 34 წუთი დაჰყო. მკვლევარი ფლორიდის სანაპიროსთან, წყალქვეშა კაფსულაში 1 მარტიდან ცხოვრობდა. მისი მიზანი იყო, წყალქვეშ 100 დღის გატარება ანუ 9 ივნისამდე გაძლება.

მთელი ეს პერიოდი, პროფესორი დიტური ყოველდღიურ ექსპერიმენტებს ატარებდა – აგროვებდა სამედიცინო მონაცემებს: წონის, წნევის, კუნთების აგებულების, მხედველობისა და სმენის ცვლილების მაჩვენებლებს. მის დროებით საცხოვრებელში ინტერნეტიც იყო შეყვანილი, ამიტომ ღია ლექციებსაც ატარებდა მშობლიურ უნივერსიტეტში. აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესორი დიტური ყოფილი მყვინთავი და ბიოსამედიცინო ინჟინერიის ექსპერტია. მეცნიერის თქმით, წყალქვეშ გატარებული 74 დღის მანძილზე, ყველაზე მეტად მზე ენატრებოდა.

# გამოყენებული საფენები – სამშენებლო მასალად

იაპონელმა სწავლულებმა კიტაკიუსიუს უნივერსიტეტიდან, ბეტონის მოსამზადებელ ნარევში, ქვიშის ნაცვლად, უხრწნადი გამოყენებული საფენები გამოიყენეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მიღებული მასალით სახლების სტანდარტული ფუნდამენტების მშენებლობა შესაძლებელია. ბეტონში დამატებული პამპერსები მის წარმოებას უფრო აიაფებს და გარდა ამისა, ეკოლოგიურიცაა. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამით გადაიჭრება ნარჩენების პრობლემაც. სპეციალისტებმა უჩვეულო ნარევი საფენების სხვადასხვა პროპორციით შექმნეს და სიმტკიცეზე შეამოწმეს. აღმოჩნდა, რომ საყრდენი ბოძების მშენებლობისთვის, სამსართულიან სახლში, პამპერსებით 10% ქვიშის ჩანაცვლებაა შესაძლებელი. ერთსართულიანისთვის კი ეს მაჩვენებელი 27%-მდე იზრდება. გადატიხვრების დასამზადებლად, ქვიშის 40%-ს ჩაანაცვლებს საფენები, იატაკის დაბეტონებისა და ბაღის მოსაპირკეთებლად – მხოლოდ 9%-ს.

# ცხვირის სპრეი აბების ნაცვლად

ცნობილია, რომ აბები ცუდად აწვდიან სამკურნალო აგენტებს ტვინს და დღეს ეს დიდი პრობლემაა, რადგან ავადმყოფს მუჭებით უწევს წამლის ყლაპვა, რათა საერთო კონცენტრაციის გაზრდის ხარჯზე, სასურველ ეფექტს მიაღწიოს. თუმცა, როგორც ჩანს, სწავლულებმა შეძლეს ამ პრობლემის მოგვარება. ისინი სამკურნალოდ ცხვირის სპრეის გამოყენებას გვთავაზობენ. დანიელი მკვლევარები ოლბორგის უნივერსიტეტიდან, ვარაუდობენ, რომ ცხვირის ღრუს კედლისა და ლორწოს მეშვეობით პრეპარატს ტვინთან უფრო სწრაფად და ეფექტურად მივიტანთ. პრინციპი ისეთივეა, როგორც ნარკოტიკების მოხმარებისას. მაგალითად, კოკაინის შესუნთქვა ნარკომანს საშუალებას აძლევს, ეს ნივთიერება მომენტალურად შეიწოვოს. თუმცა საქმე ის არის, რომ ბევრი სამედიცინო სუბსტანცია ძნელად გაივლის ცხვირის ღრუს კედელს და ასევე, რთულად აღწევს მედიკოსებისთვის საინტერესო ტვინის ზონაში. ჩვეულებრივ, როცა წამალი ცხვირის საშუალებით შედის, „ტრანსპორტის“ რანგში პოლიმერები გამოიყენება. არსებობენ ბუნებრივი და სინთეტიკური, მარტივი ან რთული პოლიმერები. ისინი შესანიშნავად მუშაობენ „გადამზიდავების“ როლში. თუ პოლიმერებს დავამატებთ სპრეიში, პრეპარატის ტვინისთვის მიწოდების პრობლემა, ალბათ, აღარასდროს დადგება.

# შტატში TikTok-ი აკრძალეს

ამერიკაში მონტანა გახდა პირველი შტატი, სადაც ჩინური სოციალური ქსელი და ვიდეოების გაზიარების ონლაინ-პლატფორმა აიკრძალა. აპლიკაციის აკრძალვის შესახებ კანონს შტატის გუბერნატორმა, გრეგ ჯანფორტემ მოწერა ხელი. „ეს ზომები მონტანის მცხოვრებთა პირადი მონაცემების ჩინეთის კომუნისტური პარტიისგან დასაცავად მივიღე“, – დაწერა გუბერნატორმა Twitter-ზე.როგორც Reuters-ი წერს, აპლიკაციების მაღაზიებს – Apple-სა და Google-ს, შტატის ტერიტორიაზე TikTok-ის გადმოწერის შესაძლებლობის უზრუნველყოფა აეკრძალათ. თუმცა, ამ ეტაპზე, აპლიკაციის გამოყენებაზე არანაირი ჯარიმა არ არის. კანონი ძალაში 2024 წლის იანვრიდან შევა. შეერთებულ შტატებში ონლაინ-პლატფორმის მფლობელ კომპანიას ByteDance-ს ჩინეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებენ. გასული წლის ბოლოდან, ამერიკელ სახელმწიფო მოხელეებს, სამსახურებრივ მოწყობილობებზე ეკრძალებათ TikTok-ით სარგებლობა.

# მთელ სოფელს სახლის ფასად ყიდიან

ესპანეთში, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, საკუთრებაში მთლიანი სოფელი ჰქონდეს. პოტენციურ მყიდველს შესაძლებლობა აქვს, დასახლებული პუნქტის მფლობელი გახდეს, რომელიც უკვე 30 წელიწადია, დაცლილია. საუბარია დასახლება სალტო-დე-კასტროზე, რომელიც პორტუგალიის საზღვართან მდებარეობს. 2008 წელს, აქ ტურისტული ცენტრის გაკეთებას ვარაუდობდნენ, თუმცა ეს გეგმები გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამო ჩაიშალა, ამჯერად კი სოფლის გაყიდვა გადაწყვიტეს. სალტო-დე-კასტრის ღირებულება სულ 240 ათასი ევროა. ამ თანხით, მადრიდში მხოლოდ ერთი სახლის ყიდვა შეიძლება.

# ინფექციები ინტელექტს აქვეითებენ

ამერიკელმა მეცნიერებმა ჰიპოთეზა წამოაყენეს, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ინტელექტზე გავლენის მქონე ფაქტორებს შორის მთავარ ადგილს ინფექციური დაავადებები იკავებენ. გამოკვლევის დროს, ექსპერტები აშშ-ის ათი შტატის მცხოვრებთა ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მათ ინტელექტის დონეს ადარებდნენ. შედეგებმა აჩვენეს, რომ ამ შტატებიდან ყველაზე „ჭკვიანებში“ უფრო ჯანმრთელი ადამიანები ცხოვრობენ. იქ კი, სადაც ინტელექტის დონე ყველაზე დაბალი იყო, აღმოჩნდა რომ ამ შტატების მცხოვრებნი ხშირად არიან ავად ინფექციური დაავადებებით. კიდევ ერთი გამოკვლევის მიხედვით, სწავლულებმა დაადგინეს, რომ ბავშვებს, რომელთაც ნაწლავის ჭიები ჰყავთ, მომავალში შედარებით დაბალი ინტელექტი აქვთ, ვიდრე მათზე უფრო ჯანმრთელ თანატოლებს. მკვლევარები ამას იმით ხსნიან, რომ ინფექციური დაავადებები ორგანიზმს ტვინის განვითარებისთვის აუცილებელ ენერგიას ართმევენ.

# ერთი ნახვით არ უყვარდებათ

ნოთინჰემის უნივერსიტეტის მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ერთი ნახვით შეყვარება არ არსებობს. ეს მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფია, რომლის საფუძველზეც ადამიანებმა რომანტიული ზღაპარი მოიგონეს. ბრიტანელი სწავლულები მიიჩნევენ, რომ მეხსიერების მიერ, გამუდმებით ხდება წარსულში მომხდარი ფაქტების გადაფასება. ყოველი ახალი შეფასება ეფუძნება საგნებისადმი უფრო ჭკვიანურ და გამოცდილ ხედვას, რაც თავის მხრივ, ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ხდება. მკვლევარები ამბობენ, რომ თუკი ადამიანი პარტნიორთან პირველ შეხვედრას ერთი ნახვით შეყვარებად აფასებს, ეს მხოლოდ ეიფორიის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. სინამდვილეში, ადამიანი თავის ამჟამინდელ ურთიერთობას წარსულთან მიმართებაში განიხილავს და მას ეჩვენება, რომ გრძნობები გაცნობისთანავე გაჩნდა.

# ცომეული მუდმივ დაღლილობას იწვევს

სპეციალისტების განცხადებით, პურისა და ცომეულის გადაჭარბებული მოხმარება ადამიანში დაღლილობასა და რეაქციების შენელებას იწვევს. მიზეზი ფქვილის ნაწარმის შემადგენლობაშია. ცნობილი ამერიკელი კარდიოლოგის, უილიამ დევისის თქმით, დღეს პურპროდუქტები ადამიანის რაციონის 30-35%-ს შეადგენს, რაც არ არის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო. მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ თანამედროვე ადამიანები ხორბლისგან დამზადებულ ბევრ პროდუქტს მოიხმარენ, მაგრამ მარცვლეულის დღევანდელი სახეობები გენმოდიფიცირებულ ცილა გლიადინს შეიცავს, რომელიც დაღლილობის შეგრძნებას იწვევს. თეთრი პურის გადაჭარბებული მოხმარება ორგანიზმში უჯრედისის დეფიციტს იწვევს, ეს კი ტვინის ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. გარდა ამისა, ცილა გლიადინის მოქმედება ოპიატების ეფექტს ჰგავს. ეს პროტეინი, რომელსაც პურფუნთუშეულთან ერთად ვიღებთ, ტვინის რეცეპტორებს აატქიურებს, რომელიც მადასა და საკვებიდან სიამოვნების მიღებაზეა პასუხისმგებელი. ამიტომ ადამიანი უფრო მეტი კალორიის მიღებას იწყებს, რაც წონაში მატებასა და სიმსუქნეს იწვევს.

# ძმარი – სუპერპროდუქტი

აშშ-ის კვების ტექნოლოგიების ინსტიტუტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ძმრის გარკვეულ სახობებს შეუძლიათ, ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატი ჩაანაცვლონ. ძმარი გაჯერებულია ანტიოქსიდანტებით, რომელიც პასუხისმგებელია დაბერების პროცესის შეფერხებაზე, ასევე, ის ანელებს სიმსივნისა და ტვინის დეგენერაციული დაავადებების განვითარებას – ალცჰაიმერის, პიკისა და პარკინსონის დაავადებებს. გარდა ამისა, ძმარს ანთების საწინააღმდეგო თვისებებიც აქვს და ამცირებს დიაბეტის ორგანიზმზე გავლენის ხარისხს. ის აუმჯობესებს გულსისხლარღვთა სისტემას და აქვეითებს წნევას. აღსანიშნავია, რომ თუ ძმარი ადამიანის კვების ყოველდღიურ რაციონში შედის, დროთა განმავლობაში ქვეითდება მადა, რაც განსაკუთრებით აქტუალურია გახდომის მსურველთათვის. ვაშლის ძმარი კარგი დამხმარეა ართრიტისა და პოდაგრას მკურნალობისას, აქვეითებს სისხლში შაქრის დონეს, აჩქარებს ცხიმების გადამუშავებას.

## ფაფები ბავშვებისთვის მავნეა?

პატარა ბავშვებისთვის ფაფები ყველაზე სასარგებლო კერძად მიიჩნევა, ის პატარების რაციონში დიდხანს ძირითადი საჭმელიცაა. თუმცა, ამერიკელი სწავლულები ეჭვქვეშ აყენებენ ამ საკვების სარგებლიანობას. პირველ როგში, ეს შაქრის იმ რაოდენობასთან არის დაკავშირებული, რომელიც თვითონ ფაფებშია. სტატისტიკის თანახმად, შეერთებულ შტატებში, წლის განმავლობაში, ბავშვი საშუალოდ 4.5 კილოგრამ შაქარს იღებს, თუკი ის რეგულარულად მიირთმევს ფაფებს. ასეთი რაოდენობა კი საშიშია არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ, მოზრდილებისთვისაც. ორგანიზმში შაქრის დოზის გადაჭარბება ბევრი დაავადების განვითარებას უწყობს ხელს – ჭარბ წონას, შაქრიან დიაბეტს და სხვა. აღსანიშნავია, რომ მზა ფაფების უმრავლესობის შემადგენლობაში საშუალოდ 29%-ია შაქარი და თუ არ არის, კერძის მომზადებისას, მშობლები ამატებენ. საბოლოოდ, შესაძლოა, სავალალო შედეგიც მივიღოთ. სწავლულები ურჩევენ მშობლებს, ნაკლებად დაატკბონ ფაფეული, ხოლო თუ მას მზა სახით ყიდულობენ, სჯობს, წინასწარ დარწმუნდნენ იმაში, რომ საკვები დასაშვებზე მეტი რაოდენობით შაქარს არ შეიცავს.

## მზა საკვები ნაადრევ სიკვდილს იწვევს

ბრაზილიელი სწავლულების თქმით, ულტრადამუშავებულმა მზა საკვებმა, როგორიცაა, მაგალითად, ჰოთ-დოგი, გაყინული პიცა და დონატები, შესაძლოა, ნაადრევი სიკვდილი გამოიწვიოს. მკვლევარების თქმით, დიდი ხანია, ასეთ საკვებს უკავშირებენ ისეთი დაავადებების გაზრდილ რისკებს, როგორიცაა დიაბეტი, გულსისხლძარღვთა დაავადებები და სიმსივნეები. სწავლულებს სურდათ გაერკვიათ, უკავშირდება თუ არა ასეთი საკვები ნაადრევ სიკვდილსაც. შესაბამისი სხვადასხვა სიმულაციების, მოდელებისა და გამოთვლების შედეგად, დაადგინეს, რომ ულტრადამუშავებული მზა საკვები ბრაზილიელ მოიზარდებში ენერგიის მთლიანი მოხმარების 13-დან 21%-მდე შეადგენდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2019 წელს, ქვეყანაში 30-დან 69 წლის ასაკამდე, 500 ათასზე მეტი ზრდასრული გარდაიცვალა. კვლევებით დადგინდა, რომ მათგან 57 ათასის სიკვდილი ულტრადამუშავებული საკვებით იყო გამოწვეული. სპეციალისტების გათვლებით, თუკი ადამიანები შეამცირებენ ასეთი მზა საკვების მოხმარებას, წელიწადში, სიკვდილიანობის მაჩვენებელს 30 ათასიდან 6 ათასამდე შევამცირებთ.

## ყველაზე მავნე კოქტეილი დაასახელეს

ყველაზე მავნე კოქტეილად ამერიკელმა სწავლულებმა რძის კოქტეილი დაასახელეს, რომელიც არაქისის ნაღებითა და შოკოლადის ნაყინით მზადდება. სპეციალისტებმა დაითვალეს და აღმოაჩინეს, რომ ასეთი სასმელის ერთ ულუფაში, ზრდასრული ადამიანისთვის მთელი დღე-ღამის განმავლობაში საჭირო კალორიების რაოდენობა შედის. ამასთან, კოქტეილში ცხიმების რაოდენობა სამჯერ აჭარბებს დღიურ ნორმას. ასეთი რძის კოქტეილები კი, როგორც წესი, ფასტფუდის პროდუქტებთან ერთად იყიდება და მომხმარებლებშიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

## ბავშვის განვითარებაზე მისი წონა მოქმედებს?

ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის სწავლულების კვლევების თანახმად, რაც უფრო მეტს იწონის ჩვილი დაბადებისას, მით უკეთესი იქნება შემდგომში მისი მოსწრება სკოლაში. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წონა გავლენას ახდენს ტვინის განვითარებაზე. ამის მიუხედავად, თუ ნაყოფი ბოლომდე (ანუ ცხრა თვემდე) რჩება დედის მუცელში და წონას იკრებს, მისი კოგნიტიური უნარებიც უმჯობესდება. ეს ადვილი შესამჩნევი იყო ტყუპებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას. ტყუპები, რომლებიც უფრო მეტს იწონიდნენ დაბადებისას, ვიდრე მათი და-ძმები, მესამედან მერვე კლასის ჩათვლით, მოსწრების საშუალო ქულებიც უფრო მაღალი ჰქონდათ. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ წონა დაბადებისას ერთადერთი ფაქტორი არ არის, რაც გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე. მაგალითად, მშობლების განათლება პატარას ინტელექტზე უფრო ძლიერ გავლენას ახდენს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.